№ 182
პარასკევი, 7 ოქტომბერი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
[illegible] წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 182
პარასკევი, 7 ოქტომბერი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ტფილისის სახაზინო თეატრი.
ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის
ლ. დ. დონსკოისა
დღეს, პარასკევს, 7 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება:
ფაუსტი
ოპერა 5 მოქმ. მუს. გუნოსი, თარგ. ამენისა.
ანჯელო გამბას მონაწილეობით
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არცაბაშევისა, კარპოვა; ბ-ნნი: გამბა, ნარსკი და შეინი.
ბალეტს განაგებს ბ-ნი ბეკეფი.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
დირიჟორი ლ. პ. შტეინბერგი.
უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
ანონსი: ხვალ, შაბათს, 8 ოქტომბერს სპექტაკლი „გალა“ წარმოდგენილი იქმნება **ნერონი** ოპერა 5 მოქ. მუს. რუბინშტეინისა. მზადდება წარმოსადგენად პირველად ტფილისში **ზაზა**, ოპ. 4 მოქ. მუს. ლეონკავალლოსი, თარგმანი გორჩაკოვისა.
ბილეთები იყიდება.

ნაფიცი ვექილი
ივანე ზურაბიშვილი
გადავიდა სასამართლოს (Судебная) ქუჩაზე, მდივანის სახლში, 41. (3—4)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კრავატი.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. ხირურგიულ-ვენერიული და კანის ავადმყოფობისა.
შ. ზ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შიაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.
გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 10—11 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.
. ქი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა.
საღამოობით:
პ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.
ხ. აზიანცი—შინაგან ავადმყ. 7—7½ საათ.
პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **პ. ა. ნავასარდიანი.**
Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.
კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21 კუთხეში, ევპალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.
ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.
გ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნი და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლ 13.
ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157
გაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.
დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ექვთიმე ვაშაკიძე [illegible] და შინაგან ავადმყოფთ ექიმი—ელიზავეტის და კიროჩნი ქუჩ[illegible] სახლი ბარამოვისა № 112. ავადმყოფებს იღებს ნაშუადღევს 1—2 ს. და საღამოს 5—7 საათ.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

რედაქციისაგან

დღევანდელ ნომერთან ტფილისის გარეთ ხელის მომწერლებს ურიგდებათ

„ივერიის ბიბლიოთეკა“ № 6.

შემდეგის შინაარსით: **ნახევარ წაწილა.**—პოემა ვაჟა-ფშაველასი.
მკვდრები ჩუმად არიან.—მოთხრობა ა. შნიცლერისა.
„მომხიბლავი ზღაპარი“—პიესა ი. პოტაპენკოსი.

კლასობრივი ინტერესები და ეროვნება

მკითხველთან დიდ ბოდიშს ვიხდით, რომ დღესაც ამ წერილის თავში „მოგზაური“ და მისი ცნობილი მეთაური უნდა ვახსენოთ. ჩავდივართ ამას არა იმიტომ, ვითომ იმ ორგანოსთან დღეს რაიმე კამათის გამართვა და, მაშასადამე, მკითხველის მოთმინების გამოცდა გვინდოდეს, არამედ იმიტომ, რომ ჩვენის დღევანდელ წერილის საგანთან „მოგზაურის“ რამდენსამე სტრიქონს კავშირი აქვს...

მოგეხსენებათ, „მოგზაურის“ სახელოვანმა პუბლიცისტმა ბ-ნმა ფ. მახარაძემ ხალხის მატყუარა მატრაკვეცებად მონათლა ის ქართველი ჟურნალისტები, რომელთაც, მათდა საუბედუროდ, სწავლა-განათლება საზღვარ-გარედ მიუღიათ და მწერლობაში ბ-ნ მახარაძის თანაგრძნობა და მოწონება ვერ დაუმსახურებიათ. „მატრაკვეცების“ რიცხვში მოხვდა ბ-ნი ვლ. დარჩიაშვილიც, რომელმაც, თავის სახათაბალოდ, სწავლა და სამეცნიერო ხარისხიც საზღვარ-გარედ მიიღო და ჩვენში დაბრუნებისათანავე ისეთი საქციელი ჩაიდინა, რომ ბ-ნ მახარაძის უსაზღვრო რისხვა გამოიწვია.

ბ-ნმა დარჩიაშვილმა დაბეჭდა ამას წინად ერთი წერილი, რომელშიაც სამშობლოს სალამს უძღვნიდა. ბ-ნ მახარაძეს ეჭვი აღეძრა,—ბ-ნი დარჩიაშვილი „ნაციონალისტი“ გამხდარა, სამშობლოს სწამსო, და—„ჭეშმარიტი“ მარქსიზმის დარაჯი აღელდა...

იმავე ბ-ნ დარჩიაშვილს თავის წერილში ასეთი ფრაზა შეეპარა: „ჩვენ ვლაპარაკობთ, რასაკვირველია, პსიხოლოგიურ ცვლილებაზე, **რაც ყოველთვის წინამორბედობს ცხოვრების ყოველგვარ ცვლილებას**“. ბ-ნმა მახარაძემ ამ სიტყვებში ეკონომიურ მატერიალიზმის ღალატი დაინახა და—მისი აღელვება გაძლიერდა...

დასასრულ, იმავე ბ-ნმა დარჩიაშვილმა ქიზი[illegible] სათათბიროს კრებაზე მხარი დაუჭირა კავკასიის ავ[illegible] მოთხოვნას და ამით ბ-ნი მახარაძე სულ მთლად გა[illegible] მინება დააკარგვინა. ამ პუბლიცისტის განრისხება მაშინვე ერთ მოკლე წერილში გამოიხატა, რომელიც „მოგზაურისავე“ № 34-შია დაბეჭდილი. „აქამდის ხალხი სხვისი იარაღი იყო,—სწერდა თავის თავაზიანობითა და მორიდებით ცნობილი მეთაური „მოგზაურისა“—მას სხვები იშველიებდნენ თავიანთ კერძო ინტერესების განსახორციელებლად. დღეს იგი დამოუკიდებლად გამოდის, მაგრამ ამ დროს მასთან მიდიან სხვადასხვა ჯურის **მატყუარები**, ვითომდა სხვადასხვა რჩევის მისაცემად, მაგრამ ნამდვილად კი მის **მოსაცდუნებლად** მოგეხსენებათ, რომ სიღნაღში, ამ კამბეჩოვან ქვეყნის დედა-ქალაში, ავტონომიის საქმე აქამდის რაღაც ცუდად მიდიოდა. მაგრამ დაიწყო კრებები ერობის შემოღების შესახებ სათათბიროდ, ჩავიდა იქ ვლ. დარჩიაშვილი, და საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. ავტონომიის მოწინააღმდეგენი პირქვე დაამხეს და ავტონომია მიღებულ იქმნა იმავე ბ-ნ ვლ. დარჩიაშვილის მეცადინეობით. გამარჯვებაც ასეთი უნდა!“..

ბ-ნ მახარაძეს რომ ცოტა მეტი მოთმინება ჰქონოდა, ბ-ნ დარჩიაშვილს ასე არ გასწირავდა და „მატრაკვეცების“ სიაში ასე უცებ არ ჩასწერდა. არ ჩასწერდა იმიტომ, რომ ბ-ნ დარჩიაშვილის მერმინდელ ნაწერს ისეთი შინაარსი და ხასიათი აქვს, რომელიც ბ-ნ მახარაძეს მისებურ საბაბსაც არ მისცემდა ბ-ნ დარჩიაშვილის გასაწირავად და „მოგზაურის“ მოწინააღმდეგედ და, მაშასადამე, „მატრაკვეცად“ გამოსაცხადებლად.

ბ-ნ დარჩიაშვილის დღევანდელი ფელეტონი, რომელსაც ჩვენ ვბეჭდავთ, ცხადად ამტკიცებს, რომ მისსა და ბ-ნ მახარაძის „აზრებს“ შორის თითქმის არავითარი განსხვავება არაა კლასობრივ ბრძოლისა და ეროვნულ საკითხის შესახებ. ბ-ნი დარჩიაშვილიც „მოგზაურივით“ სცნობს მხოლოდ ერთად-ერთ კლასობრივ ბრძოლას და უარყოფს საერთო ეროვნულ ინტერესების არსებობას როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც. ეს ის შეხედულებაა, რომელიც მუდამ იფინება „მოგზაურის“ ფურცლებზე, და ბ-ნ მახარაძეს რომ ცოტა დაეცადა, ცხადად დარწმუნდებოდა, რომ დღევანდელ ფელეტონის ავტორი მაინც არ არის მატრაკვეცა“, რომელიც განგებ ხალხს „ატყუებს“ და „აცთენს“...

ჩვენის მხრით საჭირო არც კია, მკითხველს ვუთხრათ, რომ ბ-ნ დარჩიაშვილის აზრებს, რომლებიც მის წერილშია დღეს გამოთქმული, ჩვენ არსებითად და ბევრ წვრილმანებშიაც არ ვეთანხმებით, რადგან იმავე საგანზე „ივერიაში“ ბევრჯერ გამოგვითქვამს ჩვენი აზრი და შეხედულება.

საჭიროდ მიგვაჩნია მაინც, მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ბ-ნ დარჩიაშვილის წერილის მხოლოდ ისეთ ადგილებს, სადაც ჩვენი და მისი შეხედულება არსებითად განსხვავდება და სადაც, ჩვენის აზრით, ავტორის მთავარი შეცდომებია.

პირველი და მთავარი შეცდომაა ერში მხოლოდ კლასობრივ ინტერესების ცნობა და საერთო ეროვნულ ინტერესების უარყოფა. ბ-ნი დარჩიაშვილი გრძლად მოგვითხრობს ბასტიასა და შულცე დელიჩებზე, რომლებიც საზოგადოებაში მხოლოდ ჰარმონიას ხედავდნენ და ყოველგვარ კლასობრივ წინააღმდეგობასა და ბრძოლას ხელს აფარებდნენ. ალბად, მას ეს მოთხრობა სხვებისთვის კლასობრივ ბრძოლის დასანახველად და ერის სხვადასხვა კლასებად დაყოფვის დასამტკიცებლად მიაჩნია საჭიროდ, მაგრამ ჩვენ უნდა შევნიშნოთ, რომ კლასობრივ ბრძოლისთვის ხაზის გასმა ჩვენშიაც არ შეადგენს რაიმე პუბლიცისტურ აღმოჩენას. ქართულ პრესსაში დღეს არავინ არ უარჰყოფს, რომ ერი კლასებადაა დაყოფილი და მათში კლასობრივი წინააღმდეგობა და ბრძოლაა გამართული. საკამათო საგანი მხოლოდ ისაა, რომ „მოგზაურის“ ბანაკი მხოლოდ კლასობრივ ინტერესებს სცნობს, ხოლო ჩვენ და სხვებიც, კლასობრივ ინტერესებთან ერთად, საერთო ეროვნულ ინტერესებსაც ვაღიარებთ და ამიტომ სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეძლებისა დაგვარად, ვიცავთ კლასობრივ ინტერესებს მშრომელ ხალხისას და საერთო ხალხოსნურ ინტერესებს მთელის ერისას. ჩვენის აზრით, ერის დაყოფვა სხვადასხვა ეკონომიურად ერთმანეთის მოწინააღმდეგე კლასებად არ ნიშნავს იმას, რომ ერში საერთო ინტერესებიც სრულიად არ მოიპოვება და მთელი ცხოვრება მხოლოდ კლასობრივ ინტერესებითა და ბრძოლით განისაზღვრება და ჩვენი მთავარი უთანხმოებაც ამაშია.

მეორე მთავარი შეცდომა ბ-ნ დარჩიაშვილისა, ჩვენის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ იგი საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიალურ თვით-

ფელეტონი

კლასობრივი ანტაგონიზმი და საერთო ინტერესები

—:—

მას შემდეგ, რაც დაირღვა პირვანდელი კომუნიზმი და საზოგადოებაში გაჩნდა უთანხმოება, გაჩნდა სიმდიდრე და სიღარიბე, საზოგადოებრივ შენობას ქვა-ქუთხედად დაედო კერძო საკუთრება. აი, იმ დროიდან მოკიდებული, სოციალურ ორგანიზაციაში, ისე როგორც იდეოლოგიურ სფეროში, მთელ სიგძე-სიგანეზე ჩაქსოვილია სოციალურ ჯგუფთა უთანხმოება, მოცილეობა-მოურიგებლობა, წინააღმდეგობა, ანუ—ის, რასაც დღეს ვუძახით,—კლასობრივ ანტაგონიზმს (წინააღმდეგობა), კლასთა ბრძოლას. რამდენადაც რთულდებოდა, ვითარდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება, იმდენად მეტი ძალა და მნიშვნელობა ეძლეოდა კლასობრივ ანტაგონიზმს, კლასთა ბრძოლას და ბოლოს ეს გარდაიქცა იმ ბორბლად, რომლის გარშემო ტრიალებს კაცობრიობის მთელი ისტორია.

მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრების ეს ძირითადი ფაქტი—კლასთა ბრძოლა—ადამიანთა გონებაში პოულობს სრულ ცნობიერებას მხოლოდ მაშინ, როცა იგი აღწევს განვითარების უმწვერვალესობამდე, როცა მას ეცრცვნება ყოველგვარი პატრიარქალური თუ რელიგიური იდეები და საარსებო ბრძოლის ველზე პირისპირ უდგება ორი, კანონის წინაშე სრულიად თანასწორი, ადამიანი: ცხოვრების მეჯლისის ბატონ-პატრონი (კაპიტალისტი), ერთის მხრივ, და არაფრის მქონე, გარდა საკუთარ ორგანიულ ძალ-ღონისა (პროლეტარი), მეორის მხრივ. კლასთა ბრძოლის შემეცნება, ამ დროიდანაც, მეტის-მეტად მძიმედ და მეტის-მეტად ძნელად პოულობს გზას ადამიანთა გონებამდე. მის გავრცელებას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლება. ჯერ ერთი, გულუბრყვილო ადამიანთ, რომელთა რიცხვი ლეგიონია, კლასთა ბრძოლის შესახებ ერთმანეთში გააქვთ და გამოაქვთ ისეთი ახირებული ანეგდოტები, ისეთი უცნაური და საშინელი წარმოდგენანი, რომ კლასთა ბრძოლა გეხატება „მეორედ მოსვლად“, სამყაროს დასასრულად და თვით ამ ბრძოლის მქადაგებელნი კი—თუ კაცის მჭამლებად არა, სთოკე ყაჩაღებად მაინც გეჩვენებათ. იმათი წარმოდგენით, კლასთა ბრძოლა,—ეს მკლავძეთა ფალავნების ნავარდია, სადაც ნებადართულია ყველა საშუალებანი, დაწყებული ტიტველა მკლავებიდან და გათავებული ხმალ-ხანჯლით და ბებუთით; უკეთეს შემთხვევაში კლასთა ბრძოლა იმათთვის ისეთივე ომია, როგორც იყო, მაგ. მანჯურიის ველებზე ატეხილი ბრძოლა. კლასთა ბრძოლის მქადაგებელთ უკიჟინებენ, რომ იგინი სთესავენ ადამიანთა შორის სიძულვილს, შურისძიებას, მტრობას და აქეზებენ და ასისინებენ ერთმანეთის ამოსაჟლეტად. *)

ამგვარ წარმოდგენებთან, რა თქმა უნდა, კლასთა ბრძოლას არაფერი არა აქვს საერთო. ზოგჯერ, ისტორიის განმავლობაში კლასთა ბრძოლა იქცევა ხოლმე მოქალაქეთა ომად, მარა ეს არის ხოლმე დროებითი, წარმავალი, ცალკე ეპოქის ისტორიული აუცილებლობა და მოქალაქობრივი ომი სრულებითაც არ შეადგენს კლასთა ბრძოლის დამახასიათებელ თვისებას ანუ აუცილებელ ორგანიულ ფორმას. კლასთა ბრძოლის საგანია არა პიროვნებათა მოსპობა, არამედ ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი წესწყობილება, მთელი სოციალური ორგანიზაცია; ამას კი ვერ მისწვდება ვერც ცეცხლი, ვერც მახვილი. ძველი წყობილება რომ დაინგრეს და მის ნაცვლად დამყარდეს ახალი, ამისთვის აუცილებელი პირობაა სათანადო სოციალურ კლასების გონებაში მოხდეს პსიხოლოგიური რევოლუცია. ხოლო ფორმა და საშუალება თუ როგორ განხორციელდება ძველის ნაცვლად ახალი სოციალური წყობილება, ეს სრულიად დამოკიდებულია, ერთის მხრივ თვით ეპოქის ისტორიულ პირობებზე, მეორეს მხრივ, თვით მოწინავე სოციალურ ჯგუფების კლასობრივ ცნობიერებაზე. რამდენადაც განვითარებულია ეპოქა და მაღლა დგას ამ ჯგუფების კლასობრივი ცნობიერება, იმდენად ხსენებული საშუალებანი და ფორმები (სოციალურ ცვლილების) უფრო რბილია, მშვიდობიანი და კულტურული; პირიქით, რამდენადაც განუვითარებელია ეპოქა (საზოგადო ცხოვრება) და რამდენადაც დაბლა დგას კლასობრივი ცნობიერება, იმდენად კლასთა ბრძოლის ფორმებიც სასტიკია, მკაცრი, ბარბაროსული. ამ ჭეშმარიტებას ნათელ ჰყოფს დღევანდელი ევროპა და ამერიკა, ერთის მხრივ, და ოსმალეთი და რუსეთი, მეორეს მხრივ.

დღეს კლასთა ბრძოლას ქადაგებს პროლეტარიატი. რათა? „ჩვენა ვქადაგებთ კლასთა ბრძოლას, რადგან ვიცით რომ კლასთა ბრძოლა არსებობს და ვიცით ისიც, რომ რაც ადრე იქნება ეს ფაქტი აღიარებული, იმდენად უფრო ადრე მოისპობა კლასობრივი ანტოგონიზმი და კლასობრივი ბატონობაო“ (ჰაიდმა[illegible]. „ჯასტის“, 29 აპრილისა 1905 წ.). ამგვარად, კლასთა ბრძოლის მქადაგებელი პროლეტარიატი, კლასთა ბრძოლის საშუალებით ილვწის მოსპოს თვით კლასთა არსებობა, ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა, სიღარიბე და ყოველგვარ სიბეჩავე, იგი ცდილობს შეამციროს ადამიანთა ტანჯვა და ცრემლი მოსწმინდოს მრავალ წამებულ კაცობრიობას. ერთის სიტყვით პროლეტარიატის საქმე და მისწრაფებანი განხორციელებული სიყვარულია; და იმის თქმა, რომ კლასთა ბრძოლის მქადაგებელი მტრობასა და სიძულვილსა სთესავს ადამიანთა შორის—მოკლედ რომ მოვჭრათ,—ცილის-წამებაა.

ამ ცილის-წამებას და საზიდოდ შემცდარ დამახინჯებულ შეხედულებათ კლასობრივ ანტოგონიზმზე და კლასთა ბრძოლაზე იგონებენ გულუბრყვილო, შეუგნებელი ადამიანები კი არა,—თუმცა მათი ფანტაზიაც მცირედენ როლსა თამაშობს—არა, მათი შემთხვევ, მათი კომპოზიტორია სხვა შეგნებული ბატონები, სხვა განსაკუთრებული გვამნი ბძანდებიან, რომ უკრავენ პირველ სკრიპკას, აწყობენ არტიებს, ადგენენ კონცერტებს და დირიჟორობენ მათ. წელან უკვე ვთქვით, რომ დღეს კლასთა ბრძოლა პროლეტარიატისა მიმართულია თვით კლასების მოსპობისაკენ. მარა, თუ დღევანდელი კლასობრივი საზოგადოება ერთი ნაწილისას ჰქმნის უბედურებას, სამაგიეროდ, მეორეს აძლევს ბედნიერებას; და, აი, ამ ბედნიერთ, გალაღებულ-გაბატონებულ ნაწილის (კლასის) დამცველნი, ვექილები, იდეოლოგები, ცნობილი და არა ცნობილნი ბასტიებ, შულცე დელიჩები და მათი წვრილ-ფეხობა მეცნიერულ[illegible]ბენ კლასთა ინტერესების თანხმობა-სოლიდარობაზე, გვასწავლიან, რომ კლასობრივი ანტოგონიზმი კი არა, ინტერესთა ნამდვილი ჰარმონია სუფევს სოციალურ კლასთა შორის და რომ ხალხის კეთილ-დღეობის შემქმნელი, ქვეყნის ამაღორძინებელი არის კლასთა სოლიდარული თანამშრომლობა; ხოლო კლასთა ბრძოლა კი აუცილებლად ქვეყნის დამამხობელიაო. ასე ცდილობენ დააბნელონ მშრომელი ხალხის კლასობრივი ცნობიერება, რადგან ამ უკანასკნელის მთელი მნიშვნელობა მათ ძალიან კარგად ესმით. ეს ბატონები, უკან ჩამორჩენილ ქვეყნებში, იქ, სადაც კაპიტალიზმის განუვითარებლობის გამო პროლეტარიატი ჯერ კიდევ შეადგენს პატარა უმცირესობას, იცხადებენ, რომ მათთვის, როგორც საზოგადო მოღვაწეთათვის, მხოლოთ პატარა უმცირესობაზე ზრუნვა უხერხული და სათაკილოც რომ არ იყოს, ლოღიკურად წარმოუდგენელია, რადგან საზოგადო მოღვაწე ზნეობრივად ვალდებულია ზრუნავდეს მთელი ქვეყნის კეთილ დღეობა-ბედნიერებაზე, მაშასადამე, უნდა იცავდეს ყველა კლასების ინტერესებს. მაგრამ შეგნებული პროლეტარიატი ამ ანკესზედაც არ მისდევს მას და მარადის ბეჯითად, მტკიცედ განაგრძობს თავისს კლასობრივ გზას, დარწმუნებული, რომ მაშინაც კი, როცა იგი დროებით უმცირესობას შეადგენს, აუცილებლად ემსახურება მთელ კაცობრიობას, რადგან მისი სოციალური, ისტორიული მიზანი,—ის საზოგადოებრივი წესწყობილება, რომლის განხორციელებას იგი ცდილობს, წარმოადგენს უმაღლეს ფაზისს (ხანას), ლოღიკურ დასკვნას განათლებულ კაცობრიობის მიმდინარე ევოლუციისას.

კარგიო, — გვეტყვიან, — დავთანხმდეთ, რომ შრომისა და კაპიტალის ინტერესები შეურიგებელია, რომ აქ მართლა სრული ანტაგონიზმია გამეფებული. მაგრამ ცხოვრება იმდენად რთულია, სოციალური მოთხოვნილებანი იმდენად მრავალგვარია და მრავალფეროვანი, სოციალური კლასები ისე არიან ერთმანეთში გადაბმულნი, რომ შეუძლებელია არ მოიპოვებოდეს არც ერთი სფერო, არც ერთი საქმე, არც ერთი საკითხი, რაიც შესაძლებლად და საჭიროდ არ ხდიდეს კლასების შეერთებას, თანამშრომლობას. შეუძლებელია არ მოიპოვებოდეს სადმე საერთო ნიადაგი, საერთო მოქმედებისათვის, შეუძლებელია კლასობრივ ინტერესების გვერდზე არ არსებობდეს [illegible] საერთო ინტერესებიც. აგრე რომ არ იყოს, რითი აიხსნებოდა [illegible] უნდა ის გარემოება, რომ დაწინაურებულ, განათლებულ ქვეყნებში, მაგ., ევროპაში, ხშირად პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის პარტიები ერთდებიან ხოლმე პოლიტიკურ ბრძოლაში? შეერთება ნიშნავს საერთო მიზანს, საერთო მიზანი—საერთო ინტერესებს. და თუ თქვენ გსურთ ჩვენი ქვეყნის გაევროპიელება, მაშინ იქაურ ტაქტიკაც უნდა გადმოგვქონდეთ და ჰქადაგებდეთ კლასთა თანამშრომლობას, უნდა ადგენდეთ პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის „ბლოკს“—მჭერმეტყველობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. გავშინჯოთ რაშია, საქმე.

ევროპაში მართლაც არა იშვიათია, რომ პროლეტარიატის პარტია განსაზღვრული ვადით უკავშირდება რომელსამე ბურჟუაზიულ პარტიას, მაგრამ მიზანი და ტაქტიკა მოკავშირეთა ყოველთვის სხვადასხვანაირია. მაგ., მუშათა პარტია უერთდება ლიბერალურ და დემოკრატიულ ბურჟუაზიულ პარტიებს წინააღმდეგ რეაქციონურ, კლერიკალურ პარტიისა.

ამ შემთხვევაში ყველა მოკავშირენი ცდილობენ კლერიკალურ პარტიის დამარცხებას და ამით თავდება მათი ერთობა. მუშათა პარტიის მიზანია—რეაქციონერთა მთავრობის მოშორებით, რაც შეიძლება, გააფართოვოს პროლეტარიატის უფლებანი, გააღონიეროს იგი პოლიტიკურად და დააჩქაროს სოციალიზმის განხორციელება, მაშასადამე, რაც შეიძლება, უკეთ წარმართოს ბრძოლა ყველა ბურჟუაზიულ პარტიების წინააღმდეგ. ამასთანავე, როგორც ყოველთვის, ისე კავშირის დროსაც, მთელი მისი ყურადღება მიქცეულია მაზედ, რომ უფრო და-უფრო განავითაროს და გააფართოვოს პროლეტარიატის კლასობრივი ცნობიერება.

სხვაგვარად მოქმედობენ და სხვას ესწრაფვიან ბურჟუაზიული მოკავშირენი. მათი ერთად-ერთი მიზანია—ძირს დასცენ კლერიკალური პარტია, რომელიც არსებითად იმავე პოლიტიკას ემსახურება, რასაც იგინი, მხოლოდ სხვა ფორმებში,—და თვითონ დაიჭირონ მისი ადგილი, რომ უკედ განამტკიცონ ბურჟუაზიის ბატონობა; ამასთანავე, წამდაუწუმ უთითებენ პროლეტარიატს მის პარტიის ბურჟუაზიულ პარტიებთან მოკავშირეობაზე და ცდილობენ, რაც შეიძლება, მეტად არიონ და დააბნელონ მისი კლასობრივი ცნო-

---

*) ამას წინად გაზეთები აცხადებდნენ ერთ იმ უთვალავ პროექტთაგანს, რომლებსაც ადგენენ—დაუჯერებელის მუყაითობით—უანგარიშო კომისიები, სხვათა შორის, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქმნეს განხორციელებული კრებების თავისუფლება, იქ ნათქვამი იყო, რომ კრებებს აუცილებლად ესწრება პოლიციელი, რომლის მოვალეობაა დახუროს ხოლმე კრება იმ შემთხვევაშიაც, როცა ვინმე ორატორი ერთ კლასს ასისინებს მეორეზე. ნამდვილად თუ ვინმე ასისინებს ხოლმე ერთ კლასს მეორის ამოსაჟლეტად, ესენი არიან ხოლმე უსათუოდ პოლიციელნი, პროვოკატორები.

მართველობას ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესების გამომხატველად სთვლის და ამგვარად ეს პოლიტიკური მოთხოვნა არ მიაჩნია ისეთ ხასიათისად, რომელიც მთელი ერის საჭიროებას შეეთანხმებოდეს და, მაშასადამე, მშრომელ ხალხსაც აინტერესებდეს და იმხრობდეს.

ბ-ნ დარჩიაშვილის წერილ'ში ეს ორი მთავარი მუხლი არის, რომელშიაც ჩვენი და მისი შეხედულება ერთმანეთის შეუთანხმებელია. თუ როგორ ასაბუთებს თავის აზრს ბ-ნი დარჩიაშვილი, ამას მკითხველი მისი წერილიდან დაინახავს. ჩვენ კი, რახან დღეს გაზეთის ადგილი ნებას არ გვაძლევს, ამ საგანზე ხვალ მოვილაპარაკებთ.

ძველი და ახალი.

ძველი და ახალი ცხოვრებაში ერთმანეთს ებრძვის,—ძველი—აზროვნებით, მიმართულებით... ცხოვრებაში თანდათან ჩნდება ახალი ძალები, იცვლება ის პირობები, რომელიც ძველებს აუცილებელი ეგონა, იცვლება ახალთაობის იდეალები...

ძველ იდეალების მოტრფიალენი ჯერ დაცინვით შესცქერიან ცხოვრების განვითარებას, შემდეგ, რომ ხედავენ ახალ ძალების გაძლიერებას, ჰკიცხავენ მათ და ბოლოს აშკარა ბრძოლასაც უცხადებენ ყველაფერს, რასაც კი ახალი დროის, ახალი მისწრაფების ელფერი ეტყობა. ამ ბრძოლაში საზოგადოება ორ მოწინააღმდეგე ბანაკად იყოფა, არა წლოვანობით, არამედ აზროვნებით, მიმართულებით... ძველ წესებს ებღაუჭებიან ხშირად ახალგაზრდებიც,—მათი აზროვნება ძველებურ ფარგალს ვერ გასცილებია, მათ კიდევ სჯერათ, რომ შეიძლება უცვლელად დარჩეს ცხოვრებაში ის, რასაც ნიადაგი უკვე დაკარგული აქვს, რომ შეიძლება საზოგადოებამ შემდეგშიაც იმ გზით იაროს, რომელიც უკვე უვარგისი გამოდგა. ახალგაზრდა და მოხუცი გაბედულად ფეხის გადადგმას ვერ ახერხებენ, მათ აშინებს ის სისწრაფე, რომელიც ეტყობა ცხოვრების ახლანდელ განვითარებას...

ეს სისწრაფე მოსწონთ ახალ თაობის წარმომადგენლებს: იგი სიცოცხლის ნიშანია, ახალ ძალებისგან წარმოშობილი. ცხოვრება სდუღს და თან არღვევს ყველაფერს, რაც ძველ წესებს გარს ეხვევა, ხელს უშლის ახალ ძალების გაბატონებას... ძველი თაობის ჩივილი, მის წარმომადგენელთა შეერთებული მოქმედება და აშკარა ბრძოლა ახლებთან ვერ შეაჩერებს ცხოვრების განვითარებას.

ცხოვრების ახალი მიმართულება ყველასაგან მოითხოვს გულწრფელობას და სამოქმედოდ აშკარად გამოსვლას. შიში და მორიდება, ორაზროვანი ლაპარაკი, თავის დაჭერა ისე, რომ ნათქვამი და ნამოქმედარი არავის არ დაურჩეს საწყენად, თავის საკუთარ აზრის და მიმართულების დამალვა და ორ სკამზე ჯდომა,—ეს ხომ ძველი დროის ნაანდერძევია, ძველი თაობის დამახასიათებელი. მონობაში აღზრდილი მონურად ცხოვრობდნენ და თავისუფალი სიტყვა და გაბედული საქმე მათთვის აკრძალულ ხილისავით ტკბილი, საოცნებო იყო, ცხოვრებაში განუხორციელებელი...

მაგრამ ამ წესს განა მარტო წლოვანობით ძველები ადგიან? განა წლოვანობით ნორჩი და აზროვნებით მობერებულნი დღესაც კიდევ საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ ახლად გამოსულნი თავის მიმართულებას ვერ ამჟღავნებენ,—ვერ ბედავენ სიტყვის გადაჭრილად თქმას,—ეშინიათ ვისმე არ ეწყინოს მათი ნათქვამი. საზოგადო ცხოვრებაში და გაზეთებშიაც მაღალ-ფარდოვან სიტყვებს ეფარებიან, უნდათ ამითი დაფარონ თავიანთი არარაობა...

ძველია! ამნაირი თავის დაჭერა ახალ დროს არ გამოადგება. დღეს ყველა ვალდებულია თავისი აზრი აშკარად და გაბედულად გამოთქვას, დღეს საზოგადო ფრაზებში გამოხვეული ადამიანი, ჩემი მეგობარი და ჩემ მტერთან დაახლოვებული, ჩემი მაქებარი და ჩემი მტრის გუნდრუკის მკმეველი,—არც მე და არც ჩემ მტერს აღარ გამოადგება, ორივესათვის საზარელი იქმნება, როგორც ორივესთან მოპირფერეს ორივე მიაძახებს,—„შორს ჩემგან ფარისეველო"!...

როგორც ერთხელვე ცხოვრებაში გაბატონებული ძველი თაობა ცდილობს არ დაჰკარგოს ეს ბატონობა. ამიტომ ყველგან, სადაც საჭიროა საზოგადოების სახელით გამოსვლა, საზოგადოების წარმომადგენელმა უნდა გამოხატოს საზოგადოების შეხედულება, ძველები ცდილობენ თავისიანი წამოაყენონ, თავისიანი ალაპარაკონ, თავისიანის ე. ი. ძველი თაობის აზრი გაასაღონ საზოგადოების აზრად და დაარწმუნონ ყველანი, რომ ეს არის ხალხის, ძველების და ახლებისაც, ნამდვილი შეხედულება...

არა, ძველი თაობის კაცს, იმას, ვინც აზროვნებით ჩამორჩა ცხოვრების განვითარებას, არ შეუძლიან შეიგნოს და გამოხატოს ხალხის ნამდვილი აზრი, მას ზნეობრივი უფლება არა აქვს ხალხის სახელით ლაპარაკი იკისროს.

ჩამოშორება, ახლებისათვის ადგილის დათმობა ძველებს არ უყვარს,—საამისოდ არ შესწევთ ზნეობრივი გაბედულება, საამისოდ არა აქვთ საკუთარ არარაობის შეგნება.

დახედეთ სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებას ჩვენში,—ყველგან ძველები არიან დასკუპებული და ვერც მათი სხვადასხვა შეცდომა, ვერც ხალხის უკმაყოფილობა და ვერც საზოგადოების გადაჭრილი სურვილი ვერ აიძულებს მათ ჩამოშორდნენ და ასპარეზი ახლებს დაუთმონ მოქმედებისთვის. გაიხსენეთ თუნდაც ტფილისის საბჭოს ახლანდელი ხმოსნები. იმ საშინელმა ამბავმა, რომელიც 29 აგვისტოს საბჭოს დარბაზში მოხდა, საზოგადოების თვალშიშეუძლებლად გახადა ხმოსნების სამსახურში დარჩენა. მათაც ჯერ გადაწყვეტეს გადადგომა, მაგრამ შემდეგ თავისი გადაწყვეტილება ისევ დაარღვიეს,—შეეშინდათ ალბად, რომ მათ ადგილს დაიჭერენ ახალი ძალები, და ახლა ისევ საცოდავად ებღაუჭებიან თავიანთ ადგილს, ათასნაირ ხრიკებს იგონებენ იმისთვის, რომ გაამართლონ თავისი სამსახურში დარჩენა. ახალ თაობას ეფერებიან—ძველებთან კი არიან ისევე, ორ სკამზე ზიან, თავის ნამდვილ მისწრაფებას ვერ ამჟღავნებენ.

ისინი, ვისაც ახალი დროების არაფერი არა სწამთ, კისრულობენ საზოგადოების სახელით ლაპარაკს. იქ, სადაც უცხონი მათის ლაპარაკით უნდა გაეცნონ ჩვენ მისწრაფებას და იდეალებს. არა! ძველებმა ისევე ძველების წარმომადგენლობა იკისრონ,—ახალი ძალები, ცხოვრებაში ახლად გაბატონებული, მათ თავის სახელით ვერ ალაპარაკებს.

მათი ორჭოფობა, მათი ოპორტიუნისტობა, მათი იმედები, გარეშეთა მოწ[illegible]ლი, მათ საზოგადოების თვალში ნდობას უკარგავს და აგრედვე უნდობი იქმნება ხალხისთვის ყველა, ვინც გარკვეულ მიმართულებას ვერ დასდგომია და ცდილობს გარკვეულ საზოგადოებრივ იდეალების მაგივრად გააბატონოს ძველებური მიმართულება, არც მტერს ვაწყენინო და არც მოყვარესო!

ძველი მიმართულება ახალს ებრძვის, და ამ ბრძოლაში არავითარ საშუალებას არ ზოგავს... ვინ გაიმარჯვებს?

კ. ხ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

გაფიცვის სტატისტიკა გერმანიაში. ამ დღეებში გერმანიის სოციალ-დემოკრატულ პარტიამ მეტად საინტერესო სტატისტიკა დაბეჭდა გერმანიაში მუშათა გაფიცვის შესახებ. სტატისტიკიდან სჩანს, რომ უკანასკნელ წლებში შრომისა და კაპიტალის შორის ბრძოლა მეტად გამწვავებულა. 1904 წელს გერმანიაში 1625 გაფიცვა იყო; გაფიცვაში 135,957 მუშამ მიიღო მონაწილეობა. გაფიცვას პარტიამ მოანდომა 5,551,144 მარკა (მარკა 48 კაპ.) 878 გაფიცვა, ანუ 55%, მუშათა გამარჯვებით დასრულდა; 317 გაფიცვა, ანუ 20%, მუშათა ნახევარ გამარჯვებით გათავდა; ხოლო 349 გაფიცვაში, ანუ 22%, მუშები დამარცხდნენ. გაფიცვის დროს 128,700 მუშამ 7,725,36» მარკა სამუშაო ქირა დაჰკარგა. წინანდელ წლებთან შედარებით, მუშათა მოძრაობამ შესამჩნევად იმატა: 1890 წლიდან 1899 წლამდის, ე. ი. 10 წლის განმავლობაში გერმანიაში სულ 3772 გაფიცვა იყო; ამ გაფიცვებში 425,142 კაცმა მიიღო მონაწილეობა; პარტიას გაფიცულთა დახმარება 11,402,758 მარკა დაუჯდა. 1900 წლიდან 1904 წლამდის, ე. ი. 5 წლის განმავლობაში გერმანიაში 5357 გაფიცვა მოხდა; მონაწილეობა მიიღო 477,906 კაცმა; პარტიამ გაფიცულთა დახმარებაზე 18,321,720 მარკა დახარჯა. უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში 9119 გაფიცვა მოხდა; ეს გაფიცვები პარტიას 29,724,478 მარკა დაუჯდა. მუშებმა 4195 გაფიცვაში გაიმარჯვეს (48%), 1932-ჯერ მუშებმა ნახევრად გაიმარჯვეს (22%) და 2531-ჯერ დამარცხდნენ (27%).

ანტიმილიტარიზმის პროპაგანდა. მილიტარიზმის წინააღმდეგ პროპაგანდა თანდათა მთელ ევროპას ედება. შვეიცარიაში ცენტრალური ბიურო დაარსდა მილიტარიზმთან საბრძოლველად. საფრანგეთის ჯარში სოციალიზმმა და მილიტარიზმის წინააღმდეგ პროპაგანდამ უკვე ფეხი მოიკიდა. საფრანგეთიდან ანტიმილიტარისტებმა თავიანთი იარაღი იტალიაშიაც გადაიტანეს. ტურინსა, ფლორენციასა, მილანსა, რომსა და სხვაგანაც ანტიმილიტარისტებმა ხალხში მოწოდება გაავრცელეს და მიტინგები დანიშნეს. როგორ გათავდა ეს მიტინგები, ჯერ არ ვიცით.

ჭლექთან ბრძოლა. როგორც ვიცით, ამ ორიოდე კვირის წინად, პარიზში მომხდარ კონგრესზე, გერმანელმა ექიმმა ბერინგმა განაცხადა, ჭლექთან საბრძოლველი გამოვიგონეო. ამ ამბავს მთელი ქვეყანა სიხარულით მიეგება; რამდენიმე მილიონი ჭლექით ავადმყოფი გულის ფანცქალით ელის ბერინგის მალამოს!, მაგრამ ბერინგი ჯერ არ ჩქარობს ამ წამლის გამო[illegible] ქველმოქმედმა თაამერიკელმა მი[illegible]ლავნება არ ისურვა) 200,000 მანეთი შესწირა ბერინგს იმ პირობით კი, რომ მან დაუყონებლივ გამოამჟღავნოს ახლად გამოგონილი მალამო, რომელიც უეჭველად საჭირო უნდა გამოდგეს.

ახალი ამბავი

◆ ამას წინად, შავი-ქვის მწარმოებელთა კრებამ შუამდგომლობა აღძრა მინისტრის წინაშე, რომ შავი-ქვის მწარმოებელთა **კრებებზე თათბირი ქართულ ენაზე წარმოებდეს**. მინისტრმა ეს შუამდგომლობა არ შეიწყნარა და უარი შემოუთვალა. შავი-ქვის მწარმოებელთ 1 ოქტომბრის კრებაზე გარდასწყვიტეს: ამავე შუამდგომლობით კავკასიის ნამესტნიკს მიჰმართონ.

◆ „ტფ. ლისტ." სადგურ ევლახიდან **დეპეშით ატყობინებენ:** „3 ოქტომბერს 500 მაჰმადიანი სომხების სოფელს ასანკას დაეცა, დასჭრეს ერთი სომეხი და გაიტაცეს 200 სული საქონელი. ჯევანშირის მაზრის უფროსი პივოვაროვი ასანკაში წავიდა.

◆ რაკი **საბჭოს სხდომები აღარ აქვს**, ტფ. ქალაქის გამგეობა ყველა საქმეს, რომელიც საბჭოს უნდა განეხილა, პირდაპირ გუბერნატორს უგზავნის.

◆ ტფ. **საბჭოს ხმოსნად ნამყოფთ** აზრადა აქვთ კიდევ გამართონ თათბირი გარეშე კაცთა და გაზეთების თანამშრომელთა დაუსწრებლად.

◆ როგორც გამოძიებით გამოირკვა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე **მერძევე წვერაძის ცოლის მკვლელი** ყოფილა საპოლიციო უბნის ზედამხედველი ვინოგრადსკი, რომელიც პასუხის-გებაში იქნება მიცემული.

◆ დღემდის ტფილისის გუბერნიაში სოფლები მოვალენი იყვნენ სახელმწიფო მოხელეებისთვის მოგზაურობის დროს ეძლიათ ურმები და ცხენები. მოხელენი იხდიდნენ ფასს თითო ვერსზე სამ-სამ კაპეიკს. ეს ბეგარა ფულად რომ ვიანგარიშოთ წელიწადში შეადგენს ტფ. გუბერნიაში 11,100 მანათს. რადგანაც ეს ბეგარა მცხოვრებთ ტვირთად აწვა, გუბერნიის მთავრობამ გადასწყვიტა, **ეს ბეგარა სრულიად მოსპოს.** მოხელეები ამას იქით პოლიციის დახმარებით ურმებსა და ცხენებს იქირავებენ ხოლმე.

◆ ბაქოს პოლიციას რამდენჯერმე შეუნიშნავს, რომ ასტრახანსა და ნ.-ნოვგოროდიდან შემოაქვთ **მრავალი იარაღი და პატრონა სელიოდკის ბოჩკებით.** რამდენიმე მაგალითი ყოფილა, რომ ერთ და იგივე ჭურჭლით შემოუტანიათ თევზიცა და იარაღიც.

◆ კავკავის რკინის გზის გამგეობა გზათა მინისტრის წინაშე შუამდგომლობს, მიეცეს მას სესხად 75 ათასი მანეთი **იმ მუშების დასაჯილდოვებლად,** რომელთაც უკანასკნელ გაფიცვაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

◆ „ჩერნ. ვესტნ."-ის სიტყვით, საჯავახოში **ადგილობრივი მცხოვრებნი** შეყრილან ერთად იმ ყაჩაღთა ბრბოს აღმოსაჩენად, რომლებიც ამას წინად საჯავახოს სადგურს ღამე დაეცნენ ხალხმა თავმჯდომარე ამოირჩია და [illegible] ბა საზოგადოდ ქურდობ[illegible]ვლელობასა და სხვადასხვა [illegible] საქმეებზე. ყველა იმ აზრისა [illegible] რომ წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ ამ გვარ ბოროტ-მოქმედებებს. ხალხმაც დაასახელა რამდენიმე ყაჩაღი, მაგრამ რადგანაც ყრილობას ცოტა ხალხი დაესწრო, ამ საგნის განხილვა შემდეგ კრებისთვის გადაიდო.

◆ თავ. გენო ამილახვრის მო[illegible] „ვოზროჟდენიეს" შემდეგი ცნობები გაუგია. მოკლული სამსახურში ყოფილა გენ. ამილახორთან, რომელიც გორის მაზრის სოფლების დასამშვიდებლად იყო გაგზავნილი. **გულმოდგინე სამსახურისთვის მოკლულ ამილახვრისთვის გორის მაზრაში ბოქაულობა მიუციათ.** ტფილისში ფორმის ტანისამოსის შესაკერად ჩამოსულა და სწორედ იმ დროს მოჰკლეს, როდესაც ტანისამოსის შესაკეთად მკერავთან მიდიოდა.

◆ ნიკიტის საიმპერატორო მეღვინეობის სასწავლებელში ამ წელს კურს დამთავრებულთა შორის იმპერატორ ალექსანდრე III **პრემია, 500 მანეთი, მიუღია** წინამძღვარიან სკოლაში კურს დამთავრებულს ბორჩხაძეს.

◆ **სოფ. შინდისიდან** (გორის მაზრა) „ცნ. ფურ." სწერენ: 24 სექტემბერს გვეწვია 60 დრაგუნი 2 ოფიცრით. სოფელს შეაწერეს დღეში 65 მანეთი. ადგილობრივი მედუქნე არჩილ მარნაშვილი აძლევს ჯარს ყველაფერ სანოვაგეს, სამაგიეროდ სოფელი აძლევს მას 65 მანეთს. ხალხმა, გაიგო თუ არა ეგზეკუციის ჩაყენებას გვიპირობენო, ნახევრად დაუმწიფებელი ყურძენი ვენახში ჰაიჰარად მოჰკრიბა და დასწურა. მეორე დღეს გვეწვია ეგზეკუციაც. ოფიცრები თხოულობენ ასის და ათის თავებს და აგიტატორებს. ამასთან ყველას გვარების სია ხელში აქვთ. სანამ ყველა ამათ არ მოგვცემთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლითო.

◆ ამ დღეებში ქიათურის პლატფორმაზე, ღამით, ორი შეიარაღებული კაცი თავს **დასხმია ჟანდარმის უფროს უნტერ-ოფიცერს დერევიანკინს** და სროლა აუტეხია. დერევიანკინს უძვრია რევოლვერი და ერთი მათგანი დაუჭრია, ხოლო მეორეს ორი ტყვიით დერევიანკინი იქვე მოუკლავს.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტზე კურს დამთავრებულმა, და იენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორმა იაკობ ამახასპის ძე **მონანდიანმა კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის წინაშე შუამდგომლობა აღძრა** ტფილისში ორსემესტრიან საღამოს კურსების დაარსების შესახებ. ამ კურსებზე მიიღებენ იმ ახალ-გაზდა სომხებს, რომლებიც მასწავლებლებლად ემზადებიან სომხის სკოლებში და სომხური ენა და ლიტერატურა ნაკლებად იციან.

◆ კავკავის რკინის გზის სადგურზე ჟანდარმებს შეუპყრიათ უცნობი კაცი, რომელსაც უნდა მიეღო რკინის გზით მოსული ბარგი, რომელშიაც 6.000 **ახალი სისტემის თოფის პატრონა აღმოჩნდა.**

◆ ქალ. შუშის მცხოვრებმა, რომლებიც ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან, მოისურვეს სახლში დაბრუნება და **შუამდგომლობა აღძრეს** გენ. შირინკინის წინაშე, სახლებში უნდა დავბრუნდეთ, გვეშინიან, გზაში ყაჩაღები დაგვხოცავენ და ჯარის კაცები გაგვაყოლეთო. გენ. შირინ[illegible] მისწერა გენ. თაყაიშვილს, ძახოვნელებს ევლახიდან შუშამდი ჯარის კაცები გააყოლეთო.

◆ სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი მუშირუდ-დოვლე თეირანიდან **შეჰკითხებია ბაქოში სპარსეთის კონსულს:** ბაქოში მართლა მშვიდობიანობა ჩამოვარდაო? ამაზე კონსულს უპასუხნია: „მშვიდობიანობა აღადგინეს. მაგრამ მაჰმადიანთა და სომხებს შორის დამოკიდებულება ისევ ისე გამწვავებულიაო".

ბიერება, და ყოველ მარჯვე შემთხვევაში [illegible] მზად არიან უღალატონ [illegible] მათთა პარტიას.

ავიღოთ უფრო კონკრეტული მაგალითი. ვინ არ იცის, რომ დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, კაპიტალისტი და პროლეტარი, ყველანი დაინტერესებული არიან, რომ ქვეყანა თუ სახელმწიფო, სადაც იგინი ცხოვრებენ, იყოს, რაც შეიძლება, მდიდარი. თუ გნებავთ, ეს ყველა კლასების საერთო ინტერესია. მაგრამ სიმდიდრე სხვადასხვანაირად ესმით სხვადასხვა კლასებს. პროლეტარისათვის სიმდიდრე ნიშნავს დიდ სამუშაო ხელ-ფასს და იაფ ცხოვრების საშუალებათ; ყველა ეს კი კაპიტალისტებისათვის მოასწავებს სიმდიდრის შემცირებას, რადგან კაპიტალისტებისათვინ სიმდიდრე ნიშნავს დიდ მოგებას, იაფ მუშა-ხელს ისე, როგორც მემამულეთათვის აღნიშნავს მაღალ რენტას, მაღალ ფასების ცხოვრების საშუალებათ. მოგეხსენებათ, როგორ დრტვინავსა და ვიშ-ვიშს ჰქლევიან ხოლმე ჩვენი მემამულენი და მეურნენი, როდესაც ეცემა ღვინისა, ან სულადის ფასი. ასე რომ იაფი პური და ღვინო—მუშაკთა ღვთის წყალობა—ნამდვილი ღვთის წყრომაა მემამულე-მეურნეთათვის. სიმდიდრე, როგორც ნაწარმოებთა გროვა, მასსა—თუ ძალიან გაიზარდა,—ნამდვილ უბედურებად იქცევა ხოლმე ბურჟუაზიისთვის. ეს საგანგებოდ აარსებს კარტელებს, ტრესტებს (კავშირებს), რომლის მიზანია წარმოების (მაშასადამე ნაწარმოებთა, სიმდიდრის) შემცირება.

მაგრამ არის კიდევ ერთი სფერა, სადაც უფრო დაჟინებით გვიქადაგებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი კლასთა თანხმობა-სოლიდარობას, მიგვითითებენ აუცილებელ საჭიროებაზე. დავიწყებულ იქმნას ყოველივე კლასობრივი უთანხმოებანი, რომ ყველა კლასები ერთი აზრით, ერთი გრძნობით გამსჭვალულნი განახორციელებდნენ საერთო საქმეს. ეს არის კითხვა სამშობლოს დაცვისა და საზოგადოდ ეროვნული საკითხები. ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ბურჟუაზიულ იდეოლოგებს ბანს აძლევენ ზოგიერთი სოციალისტებიც, როგორც ევროპაში, ისე ჩვენშიაც. ესენი ფიქრობენ, რომ კლასობრივ ინტერესებს გვერდით არსებობენ კიდევ სხვა, ნაციონალური ინტერესები. ამავე აზრს ემხრობა „ივერიის" რედაქცია. „ეროვნული მოთხოვნა,—სწერს „ივერიის" მეთაური,—[illegible] განსხვავდება კლასობრივისაგან*), რომ იგი... საერთო ეროვნულ ინტერესის გამომხატველია" (იხ. № 166 «ეროვნული საკითხი და ტერიტორიალური საოლქო ავტონომია»). ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ვიდრე საზოგადოება კლასობრივი აგებულებისაა, ქვეყანაზე არ მოიპოვება არც ერთი ცალი ადგილი, სადაც შეიძლებოდეს ბურჟუაზიამ და პროლეტარიატმა ერთმანეთს სული და გული გაუერთონ, არ მოიპოვება არც ერთი სფერა, არც ერთი საკითხი, სადაც შეიძლებოდეს კლასობრივ ანტაგონიზმის დავიწყება, კლასობრივ თვალთა ხედვის წერტილის მიტოვება; ყოველივე საქმე, ყოველივე საკითხი მიუცილებლად ემორჩილება კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას, და თავისს ახსნა-განმარტებას მიუცილებლად პოულობს კლასთა ბრძოლის ქარ-ცეცხლში.

განვიხილოთ საგანი დაახლოვებით. გავსინჯოთ ჯერ კითხვა სამშობლოს დაცვის შესახებ. როდესაც სამშობლო განსაცდელშია, მის დამოუკიდებლობას, თვითარსებობას გარეშე მტრები უქადიან განადგურებას, ეს ისეთი კრიტიკული მდგომარეობაა, რომ აქ, ერთი შეხედვით, ყოველივე კლასობრივი უთანხმოება უნდა ხმას იკმენდავდეს საერთო უბედურების წინაშე და ყველანი თანაბარი თავ-გამოდებით უნდა იცავდნენ საერთო ინტერესს, სამშობლოს არსებობას; მაგრამ ნამდვილად, ცხოვრებაში, ეს აგრე მარტივად არა ხდება. ამას გვასწავლის ისტორია. დაწერილ ისტორიასაც რომ არ ვკმაყოფილდებოდეთ, დღეს კიდევ მოიპოვებიან ცოცხალი მომსწრენი იმისა, თუ რა როლი ითამაშა ბურჟუაზიამ საფრანგეთის მე-70-ე წლების დიდ ნაციონალურ ტრაგედიაში და როგორ დაიცვა მან სამშობლო. ისინი დაამოწმებენ, როგორ სამარცხვინოდ უღალატა სამშობლო მხარეს ბურჟუაზიამ, როგორ იუდას ხელით გაუღო საფრანგეთის კარი უცხო სახელმწიფოს ჯარებს ვერსალის მთავრობამ; იგივე პირები, იგივე ისტორია მოწმობს, რომ მხოლოდ პროლეტარიატის თავგანწირულმა ბრძოლამ იხსნა საფრანგეთი სასიკვდილო განსაცდელიდან.

პროლეტარიატი ერთად ერთი ჭეშმარიტი „პატრიოტი", *) ყოველთვის თავგამოდებული დამცველია სამშობლოსი; მარა ეს დაცვა სხვადასხვანაირია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში. ავიღოთ კიდევ ასეთი შემთხვევა (მკითხველი ადვილადმონახავს კონკრეტულ მაგალითს). სამშობლო მხარეს, რომელსაც ქედი მოუხრია პოლიტიკურ მონობის მძიმე უღელ ქვეშ, ომი აქვს ატეხილი უცხო სახელმწიფოსთან; ამასთანავე, როგორც უნდა გათავდეს ომი, ქვეყნის დამოუკიდებლობას შიში არა აქვს; სამაგიეროდ, ომის წაგება რყევს ამ ქვეყნის პოლიტიკურ მონობას. როგორ გგონიათ, ამ შემთხვევაში პროლეტარიატი გამართავს „პატრიოტულ" დემონსტრაციებს და აღტყინებული მიეცემა „სამშობლოს დაცვას"? არაოდეს! თუ კი ის შეგნებული და ცნობიერია. შეგნებული პროლეტარიატი ამ შემთხვევაში ომიანობით ისარგებლებს მონობის უღლის დასალეწად და ძალუმად მოითხოვს ომის შეჩერებას, ზავის ჩამოგდებას.

ეხლა ვიკითხოთ, როგორ არის საქმე დაჩაგრულ ეროვნებათა ნაციონალურ საკითხის შესახებ, არის აქ საერთო ეროვნული ინტერესი"? განვიხილოთ ამ ნაციონალურ საკითხში არამც თუ ბურჟუაზია და პროლეტარიატია გათიშული ორ მოწინააღმდეგე ბანაკად, თვით ბურჟუაზიაც თავის მხრივ დაყოფილია ბანაკებად თავისს ფრაქციულ, რასიურ ინტერესების მიხედვით. ჩვენ დაბეჯითებით ვიცით, რომ სხვილი ბურჟუაზიისათვის სრულებით არ არსებობს ეროვნული საკითხი. ამას ცხად ჰყოფს უფრო ის ქვეყნები, სადაც ძლიერი, სხვილი ბურჟუაზია მოიპოვება. [illegible] პოლონეთი. ყველამ უწყის რომ იქაური სხვილი ბურჟუაზიის, სხვილი მემამულეების პარტია, ეგრედ წოდებული „უგოდოვცები" სამშობლოს [illegible] და ქვეყნის დამოუ[illegible]ველებს უძახი პოლონეთის თვითარსებობისათვის თავ-განწირულ მებრძოლთ. იგინი თავ-გამოდებით იცავენ რუსეთთან განწყობილების არსებულ მდგომარეობას. ნუ იფიქრებთ, რომ მათი ასეთი პოლიტიკა [illegible]დეს შეუგნებლობით; პირიქით, ეს პოლიტიკა ნაყოფია მათი კლასობრივი ინტერესების შეგნებისა. მართლაც, რა არის ბურჟუაზიის—ყველა ჯურის და კბილის ბურჟუაზიის—არსება, ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის გარეშე არა-რაა წმინდა? ეს არის ფული და აქედან წარმომდგარი ბაზრების საჭიროება. ახალ-ახალ ბაზრებს შეძენა მუდმივი საზრუნავია, მთავარი თავსატეხი ბურჟუაზიისა.

პოლონეთის ბურჟუაზიას სრულებითაც არ ეფიქრება რუსეთის კონკურენციისა, პოლონეთის ინდუსტრია, მრეწველობა გაცილებით მაღლა დგას რუსეთისაზე; ამასთანავე, მსხვილი ბურჟუაზიის უმთავრესი სამოქმედო ასპარეზი, აუცილებელი პირობაა, რომ იგი რამოდენადმე ნორმალურად მოძრაობდეს, არის საერთაშორისო ბაზარი; იქ კი მოგებული რჩება ის ბურჟუაზია, რომლის სახელმწიფო უფრო დიდია, უფრო ძლიერი, უფრო ამაყი და გულზვიადი. ამიტომ არის, რომ პოლონეთის სხვილი ბურჟუაზია ყურებში თითებს იცობს, როცა კი შემოესმება „ეშჩე პოლშა ნე სგინალა!" იგი ეღლერსება რუსეთის იმპერიის ძლიერებას და ამავე იმპერიის ბაირაღი უნდა რომ ფრიალებდეს იმისს ხომალდებზე. „უბი ბენე, იბი პატრია" არის სიმბოლო სარწმუნოებისა ამ ბურჟუაზიის და ყველა მის თანამოძმეთა, რა ეროვნებისაც უნდა იყვნენ იგინი. მაგრამ ჩვენ სულაც არ გაგვიკვირდება, რომ გუშინდელი „უგოდოვცები" დღეს პოლონეთის ავტონომიის მოსარჩლეთ გამოვიდნენ. მოგეხსენებათ, სული ტკბილია, ხალხის აბობოქრებულ, აზვავებულ მოძრაობას ხშირად უერთდებიან ისინიც, ვინც გუშინ და დღესაც, ამავე ხალხის მოსისხლე მტრები არიან.

ჩვენი ბურჟუაზია, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება და მათი ინტელიგენცია დღეს დაჟინებით ლაპარაკობს საქართველოს ავტონომიაზე: ხოლო ავტონომიას აგვირგვინებს ფედერაციით. ფედერაცია ხომ ასეთი ლამაზი, წარმტაცი გვირგვინი არი. აბა, გაიხედეთ, წარჩინებულ, აყვავებულ ცივილიზაციის მქონე შვეიცარია, ამერიკა, გერმანია, ეს სულ ფედერატიული სახელმწიფოებია და დღეს ევროპაშიაც კი ლაპარაკობენ დაარსონ მომავალში ფედერაცია, ევროპის შეერთებულ შტატების სახელით,—გალობს ჩვენი ბურჟუაზიული ინტელიგენცია.

ჩვენი ბურჟუაზია ეხუნტრუცება ფედერაცია—ავტონომიას, მარა სომხის ბურჟუაზია რაღა ჩაჩიკაშვილი, იმასაც უნდა ავტონომია, და, ეს რაც შეიძლება, დიდ ტერიტორიაზე. მართალია, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სომხები აქ სტუმრად არიან მოსულნი, ჩვენივე მოპატიჟებით, რომ მათ უნდა დაიცვან სტუმრის ჩვეულებრივი ზრდილობა მასპინძლისადმი, მარა თქვენც არ მომიკვდეთ. სომხების ბურჟუები აცხადებენ, რომ თუ დღეს კავკასიაში მოიპოვება რამე, წარმოება აღებ-მიცემობა, განათლება, მოძრაობა, სიცოცხლე, ეს ყველაფერი მხოლოდ და მარტო იმათი წყალობით. ტერიტორიაზე ისინი არ დაღონდებიან, მთელი ნახევარი საქართველო, თუ მეტი არა, იმათ ეკუთვნით, იმათივეა საქართველოს სატახტო ქალაქი ტფილისი, ამას დაამტკიცებენ ძველი ნაშთების სომხურ ზე-წარწერით, სადაც წაშლილი იქნება თვითვე აღადგენენ ამ წარწერას. რაც შეეხება თათრებს, ესენი ხომ დიდი ხნიდანვე კბილებს ილესავენ სომხობაზე და, თუ ჩვენმა ბურჟუაზიამ განაგრძო თავის გზაზე სიარული, ხვალ იგინი ქართველებზედაც გაილესავენ კბილებს, ეჭვს გარეშეა.

ერთის სიტყვით, დღევანდელი ლოზუნგია: კავკასია დაწყვიტეთ, დაგლიჯეთ ეროვნულ ტერიტორიებადო.

ჩვენი ბურჟუაზიის ეროვნული მოთხოვნანი მე უკვე გაკვრით აღვნიშნე ამავე გაზეთის ფურცლებზე, ჩემს წარსულ ფელეტონში. (იხ. № 166). ამავე ნომერში რედაქციამ მეთაური წერილი უძღვნა ჩემს ფელეტონს და, სხვათა შორის, ეჭვი გამოსთქვა, შეიძლება მე დასახელებული მოთხოვნანი ბურჟუაზიულად მიმაჩნდეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ბურჟუაზია აყენებს წინ და პროლეტარები კი ზურგს აქცევენ. არა, დავარწმუნებ რედაქციის, რომ მე არ ვეკუთვნი იმ „წმიდათა" გუნდს, სიტყვა ბურჟუას რომ პირში გახლიან და მით სწყვეტენ სადაო კითხვას, და ეს მაშინაც, როს სადაო კითხვის პირველი სიტყვაც ძლივს წარმოთქმულა; არა, სრულიად ვეთანხმები რედაქციას, რომ „ყოველ პოლიტიკურ მოთხოვნას ახასიათებს მისი შინაარსი და არა გარეგანი გამოხატულობა". მაშ გავსინჯოთ ეს შინაარსი.

ჩვენი ბურჟუაზია უკან ჩამორჩენილია, როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. მისი გონებრივი ჰორიზონტი ვიწროდ არის შემოფარგლული, იგი ვერ იხედება წინ, ვერასა ჰხედავს შორს, მომავალი მისთვის ბურუსით არის მოცული და ამიტომ მთელი თავისის არსებით იგი ჩაჰფრენია თავსს ვიწრო, დღიურ ანგარიშებს და ინტერესებს. მისი, ერთად ერთი თუ არა, უმთავრესი მაინც, სამოქმედო ასპარეზი არის შინაური ბაზარი. აქ კი ბრძოლა, კონკურენცია იმდენად უფრო მწვავეა და სასტიკი, რამდენადაც უფრო ვიწროა სამოქმედო ასპარეზის ფარგ-

---

*) კურსივი ჩვენია.

*) ბრჭყალებში ვსვამთ, რადგან ეს ტერმინი, მაღალი ცნების გამომხატველი, დღეს შებღალულია ბურჟუაზიის მიერ.

ვ. დ.

◆ დღეს, ქალაქის საბჭოში, 29 აგვისტოს ამოხოცილთა მეორმოცე დღეს, **გადახდილ იქმნება წირვა და პანაშვიდი.**

◆ ხმოსნებმა ა. ი. ხატისოვმა, ა. ი. ფლორენსკიმ, ნ. მ. ყარამურზამ, ი. ი. ამირხანოვმა, ი. ფ. ტიგრანოვმა და გ. გ. შახმუდაგოვმა წერილობით **უარი განაცხადეს სამსახურზე.** ხმოსანი ა. ი. ხატისოვი, სხვათა შორის სწერს, რომ იგი, როგორც ყოფილი ხმოსანი და როგორც მოქალაქე, სთხოვს მოურავს დროზე მოახდინოს ახალი არჩევნები.

◆ სახაზინო თეატრის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა, რომ თეატრთან დაარსებულ იქმნას მუდმივი ორკესტრი და ხორო და ორკესტრანტებსა და ხორისტებს ჯამაგირი წლიურად დაენიშნოთო.

◆ უწმ. სინოდისაგან მოვიდა ცნობა, რომ სასინოდო კონტორასა და სასულიერო სემინარიის სარევიზიოდ **განსაკუთრებული რევიზორი იგზავნება.**

◆ ზემო-ავჭალის მცირე-წლოვან დამნაშავეთა ახალშენის დირექტორად, ნაცვლად მაღლიაშვილისა, დაინიშნა რუსეთიდან ა. ი. ტაინბერგი.

◆ ქალაქის სამოსწავლო კომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ვლ. სვ. მიქელაძემ წარუდგინა გამგეობას თავის მიერ შეგროვილი მასალა და მოსაზრებანი **ქალაქის სკოლების რეორგანიზაციის შესახებ**, 1881 წლის 17 იანვრის სამოსწავლო გეგმის მიხედვით. ამ მასალას ქალაქის გამგეობა განიხილავს ამ მოკლე ხანში, ქალაქის სკოლების გამგეობის თანადასწრებით.

◆ კვირას, 9 ოქტომბერს, **დანიშნულია კურთხევა** პუშკინის სახელობაზე ახლად დაარსებულ ხარფუხის სკოლისა, რომელიც ქალაქს 16 ათასი მანეთი დაუჯდა. სკოლა იმყოფება არბუზნი და სურფ-სარქისის ქუჩების კუთხეში.

◆ ტფილისში ჩამოვიდა ამერიკელი პროფესორი ბ-ნი მეტი, კავკასიის მეფუტკრეობის შესასწავლად.

◆ დუშეთის მაზრაში შემდეგი ამბავი მოხდარა: სოფ. მუხრანში ვილაცას მოუკლავს მემამულე რევაზ არჩემაძე. სოფელ ძეგნაკარში აბრამ კობალაძეს მოუკლავს თავისი ძმა ტილილუ. ტილილუ მძინარე მოუკლავს.

◆ კავკასიის ნამესტნიკის განკარგულებით, სოფ. ნიკოლაევისა და სევენოვის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრებლებს, რიცხვით ათ ოჯახს—სახლის მოსაწყობად სესხად მიეცათ 380 მანეთი.

◆ პოლიციამ შეიპყრო კასსირი ურთერთ დამხმარებელ ბანკისა დ. ი. ქადაგიძე, რომელსაც ქიათურაში ჟანდარმის უნტერ-აფიცერის ვ. დერევიანკინის მოკვლას აბრალებენ.

ქუთაისის ცხოვრება

ქალაქის გამგეობამ თავის თავი მოვალედ არა სცნო, რომ თავის ხარჯით დაიქირაოს ქუთაისში ჩამოსულ ჯარებისა და მათი ცხენებისათვის საჭირო ბინები და თავლები, რადგან ქალაქი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული ჯარებს ბინები დაუქირაოს, როდესაც ეს ჯარები ქალაქში მუდმივადაა ჩაყენებული. ქალაქის გამგეობამ თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ უკვე წერილობით აცნობა ბ-ნს ქუთაისის გუბერნატორს და ჯარების უფროსს. როგორც ქალაქის გამგეობა ანგარიშობს, მარტო ჯარების დასაბინავებლად საჭიროა 32 შენობის დაქირავება, რომელთა დაქირავებაც ერთის წლის ვადით ჯდება 36,000 მანათამდე. ამასთანავე უნდა დაქირავებულ იქმნას 900 ცხენისათვის საჭირო თავლა; მაგრამ, რადგანაც ამჟამად ასეთი დიდი თავლა ქუთაისში არ იპოვება ახალი ხის თავლა უნდა აშენდეს, რასაც, ქალაქის ტექნიკოსების გამოანგარიშებით, დასჭირდება 11,000 მანეთამდე. გარდა ამისა იმასაც თხოულობენ, რომ ქალაქმა დაიჭიროს ჯარებისათვის საჭირო პურის საცხობი ფურნეები და სხ. ქალაქის გამგეობა აცნობებს-რა ამ გარემოებას ბ-ნს გუბერნატორს, დასძენს: ჩვენი აზრით, ქალაქი—ერთი რომ—ვალდებული არაა ხსენებული ხარჯები იკისროს, მაგრამ, ვალდებულიც რომ იყოს, ჩვენს უკიდურეს სიღარიბეში მყოფს ქალაქს მაინც არას გზით არ შეუძლიან ამდენი ხარჯების გაწევაო. ამისთვის გთხოვთ ტელეგრამით აცნობოთ საქმის მდგომარეობა კავკასიის ნამესტნიკს და გვიშუამდგომლოთ, რომ შეწყნარებულ იქმნას ქალაქის მიერ ამას წინად აღძრული შუამდგომლობა და ჯარების დასაბინავებელი ხარჯები ხაზინას დაეკისროსო.

◆ ამას წინად ქალაქის სასკოლო კომისიამ სამსახურიდან დაითხოვა ერთი პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელი ქალი მხოლოდ იმისათვის, რომ ის გათხოვდა. თუმცა მასწავლებელი თხოულობდა ადგილზე დატოვებას და პირობას იძლეოდა, რომ შემდეგშიაც პირნათლად აუსრულებდა თავისი მოვალეობა, ხოლო, თუ რამე დამაბრკოლებელი მიზეზი აღმოუჩნდებოდა, მაშინვე თავს დაანებებდა მასწავლებლობისათვის. მაგრამ კომისიამ არ შეიწყნარა მისი თხოვნა და პრინციპიალურადაც დაადგინა, რომ გათხოვილ ქალს არ მიეცეს მასწავლებლის ადგილი. თავის დადგენილებას კომისია იმით ასაბუთებს, რომ ქმარ შვილიან ქალს ათასნაირი საოჯახო საზრუნავი საქმე გამოუჩნდება და მოცლობაც არ ექნება, რომ სკოლაში თავის დროზე იაროს და ბეჯითად იმეცადინოსო. როგორც გავიგეთ, ასეთი დადგენილებით უკმაყოფილო დარჩენილან საქალაქო პირველ დაწყებით სკოლების მასწავლებლები, რომელთაც პროტესტი გამოუცხადებიათ კომისიისათვის და თხოულობენ დათხოვნილ მასწავლებლის უკანვე მიღებას. იმედია, კომისია გაასწორებს თავის შეცდომას და დაამშვიდებს განსაკუთრებით ქუთათურ მანდილოსნებს, რომელნიც სამართლიანად აღაშფოთა მისმა დადგენილებამ.

◆ 75 მთხოვნელთაგან ქალაქის სატელეფონო სადგურზედ არჩეულ იქმნა ორი ახალი ტელეფონისტი ქ-ნნი—ამაშუკელი და ნანიკაშვილი; ძველი ტელეფონისტები, ქ-ნი მიქელაძე და ასათიანი, რომელნიც დროებით იყვნეს დანიშნულნი, ისევ დასტოვეს ხსენებულს ადგილზე.

◆ ამ დღეებში ქუთაისში გარდაიცვალა ერთი ცოფით ავათმყოფი, რეალურ სასწავლებლის მოწაფე 12 წლის ბავში. ეს ბავში ამას წინად სურამში დაკბინა ცოფიან ძაღლს. საუბედუროდ, სურამში აღმოჩენილი იყო ერთი სოფლის მატყუარა ექიმბაში, რომელსაც ბავშისათვის რაღაც წამალი დაელევინებინა და დაემშვიდებინა მისი მშობლები. ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ, ბავში ავათ გამხდარიყო, მაგრამ ვერ მიმხვდარიყვნენ მის ავათმყოფობას. მხოლოდ უკანასკნელ დღეებში გამოსჩენოდა საცოდავს ცოფის ნიშნები. ბავშს ორი ადამიანი დაუკბენია, რომელნიც ექიმის რჩევით მაშინვე ტფილისში გაუგზავნიათ ცოფის ასაცრელად.

◆ [illegible] ბეითალმა თავი სამსახურს დანება და ქუთაისიდან [illegible]. ბეითლის ადგილი ამჟამად თავისუფალია.

ისარა.

პრესსა

ადვილი წარმოსადგენია იმათი მდგომარეობა, ვინც მუდამ სხვის დამონებაზე აშენებდა საკუთარ კეთილდღეობას და ვინც ხედავს, რომ ყველა დამონებულმა ახლა შეერთებულის ძალით მოითხოვა თანასწორობა სახელმწიფოში. ხედავენ, რომ ამდენი ხნის მეცადინეობით შექმნილი გაბატონება ირღვევა, რომ ძირი ეცლება ამითი იმ წყობილებასაც, რომელიც ცენტრალისტობის საშუალებით რუსეთში ერთ ეროვნებას აბატონებდა. ჯერ კიდევ ფრთხილად, აქა-იქ გაისმა ამ ცენტრალისტობის საწინააღმდეგო ხმები და ზოგიერთა გაზეთმა ამ ხმების გაგონებაზე, მორთო საცოდავი ყვირილი: გვიშველე—ე—თ, ვიღუპებითო“!

მოსკოვის ცნობილი გაზეთი „მოსკოვსკია ვედომოსტი“ ხომ შველასაც ალარავისაგან მოელის „შევცოდეთ და ახლა ღმერთი გვსჯისო“, —ამბობს იგი.

> თავი დავიმდაბლოთ და ღმერთი შემოგვხედავს და შეგვიბრალებს ღვთისმშობლის და ყოველთა წმიდათა ლოცვით, ამინ!“

ეს ლოცვა ამ გაზეთს გაახსენდა იმის გამო, რომ მოსკოვში ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე გამოითქვა საზოგადო რუსეთის მომავალ წესწყობილების შესახებ აზრი, რომ ყველა ეროვნებათა თვით გამორკვევამ რეალური სახე მიიღოს და რომ საკუთარ საქმეების გამგეობა ყველგან ადგილობრივ მცხოვრებლებს უნდა მიენდოს. ეს თვითგამორკვევა მოსკოვის კონსერვატორებს ტერიტორიის განაწილებად დაუსახავთ. მოსკოვის გაზეთი ჰგოდებს, რუსეთის მტრები აპირობენ „დაჰგლიჯონ რუსეთი“. გაზეთი ამბობს:

> „ჩვენ დემოკრატების თვალში რუსეთის ახლანდელ ტერიტორიაზე უნდა შესდგეს რამდენიმე სახელმწიფო და ამ ახალ სახელმწიფოთა შექმნა უნდა იყოსო დამოკიდებული თვით ხალხის სურვილზე. შიდ შუაგულ რუსეთში, შიდა გუბერნიებიდან უნდა შესდგეს რუსეთის რესპუბლიკა. სახელმწიფო უფლება დემოკრატების ხელში თუ გადვიდა, ყველა ეროვნება ცალკე არსებობას მოითხოვს და მათი მოთხოვნა დაკმაყოფილებულიც იქმნება დანარჩენებისაგან. ჯერ კიდევ მათ ხელში არ არის სახელმწიფო უფლება და ახლავე ამჟღავნებენ თავიანთ საიდუმლო განზრახვას შეიკრიბნენ მოსკოვში და... უკვე დაანაწილეს რუსეთი! ახლავე გადაწყვიტეს, რომ პოლონეთი ცალკე ერთეული უნდა წარმოადგინოს, რომ მას უნდა ჰქონდეს თავისი საკუთარი სეიმი და კანონმდებლობა. დანარჩენი რუსეთიც თუ არ დაანაწილეს, ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ სხვა ერებს კრებაზე ისეთივე მხნე დამცველები არ ჰყოლიათ, როგორც პოლონელთ.“

გაზეთი ცალკე რუქასაც ჰბეჭდავს, რომელზედაც დახატულია, თუ რუსეთს რა მცირედი ნაწილი შერჩება, მოსკოვის კრების გადაწყვეტილება თუ სისრულეში შევიდა. „რუსეთის სულ უმნიშვნელო ნაწილი იქმნება რუსების ხელშიო“—იძახის გაზეთი და ავიწყდება, რომ ამ თავის რუქით და ამ ჩივილით მხოლოდ თავის თავს ამტყუნებს. იმ დროს, როდესაც ეროვნულ პრინციპზე და ეროვნულ თვითგამორკვევაზე იქნება აშენებული სახელმწიფოს მართვა და გამგეობა, თუ რუსებს ახლანდელ რუსეთს მხოლოდ მცირედი ნაწილი შერჩება, ეს იმის საბუთია, რომ ამ მცირე ნაწილზე მცხოვრები ერი, რუსეთის უმცირესი ნაწილი,—დანარჩენებზე გაბატონებული ყოფილა და ყველა ვინც „მოსკოვის ვედომოსტის“ [illegible] გრინგმუტ-მეშჩერსკებთან ერთად გულში ხელს იცემს [illegible] თვით გამორკვევის პრაქტიკულ განხორციელებას ხედავს,—ფაქტიურად ხელს უწყობს შუაგულ რუსეთის და შიდა გუბერნიების გაბატონებას დანარჩენებზე, რუსეთის ხალხის დიდ უმეტესობაზე. ეს მათი განზრახი თუ უნებლიეთი კავშირი საგულისხმოა. თეორიულად ხომ თვით „მოსკოვსკია ვედომოსტიც“ არ არის თვითგამორკვევის წინააღმდეგი,—მას უნდა მხოლოდ, რომ ამ თვითგამორკვევას ის გადაწყვეტილება მოჰყვეს, რომელსაც ჩასძახებენ ცენტრალისტები, ე. ი. რომ ყველა ეროვნებამ ერთხმად სთქვას,—შემდეგშიაც შიდა გუბერნიებში მცხოვრებ უმცირესობის მონობა გვინდაო... მაგრამ საფიქრებელია განა რომ ხალხმა მოისურვოს მონობა, განა კარგი ბატონი და ცუდ ბატონი ორივე ბატონი არ არის? და განა ადამიანს საზოგადოდ არ უნდა მოსპოს თვით ამ მონობის პრინციპი, როგორც კერძო ცხოვრებაში, ისე ეკონომიურსა და სახელმწიფო საქმეებშიაც? და განა თავისუფლების პრინციპის განხორციელება შესაძლებელია სხვანაირად, თუ არ იმნაირ წესწყობილების შექმნით, რომელიც შეუძლებლად გახდის ერთმანეთზე გაბატონებას? მაშ, რა მიზანი აქვთ იმათ, ვინც ცენტრალისტობას ადგია რუსეთში?...

პეტერბურგელ ვექილების კრება

მარტის აქეთ პეტერბურგის ნაფიცი ვექილები და მათი თანაშემწენი 28 სექტემბერს პირველად შეიკრიბნენ, ისიც თავის ნებით, რადგან საბჭომ მთავრობისგან ცოტა სუსხი მიიღო და კრების გამართვას ველარ ბედავდა. ლაპარაკი ჩამოვარდა სახელმწიფო სათათბიროს შესახებ. პირველად ილაპარაკა ვექილმა დემიანოვმა, რომელმაც სთქვა: „სახელმწიფო სათათბიროს შესახებ საზოგადოება სამ ბანაკად გაიყო: ერთნი ამტკიცებენ, სათათბიროში მუშაობა შეიძლება და უნდა მონაწილეობა მივიღოთ არჩევნებშიო; მეორენი ამბობენ, არჩევნებში მონაწილეობა მივიღოთ, მაგრამ სათათბიროში არაფერი უნდა გავაკეთოთ; ჩვენ მხოლოდ იმას უნდა ვეცადოთ, რომ სათათბირო ნამდვილ საერო წარმომადგენელთა საკრებულოდ გადავაქციოთო; მესამენი ერთსაც და მეორესაც უარჰყოფენ და სათათბიროს ბოიკოტს უცხადებენ. საერობო კრებამ დაადგინა, სათათბიროში დეპუტატებად წავიდეთ და იქ ხალხისთვის მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაცია შევადგინოთ; მაგრამ სანამ ისინი ამ უფლებებს შეიმუშავებდნენ, მთელი წელიწადი გაივლის, ხოლო ამ ერთ წელიწადში სათათბირო რას გააკეთებს—არ ვიცით. ზოგი იმასაც ამბობს, ეს დეკლარაცია გამოვაცხადოთ და დავიშალნეთო“. დასასრულ, ორატორი მუშათა მოძრაობას და საერთო გაფიცვას შეეხო და იმედი გამოსთქვა, რომ მუშები სათათბიროს გახსნის პირველ დღესვე რადიკალებს მხარს დაუჭერენ და მთელ რუსეთში საერთო გაფიცვას მოახდენენ.

ცნობილი რადიკალი ვექილი მარგულიესი დემიდოვს ეთანხმება მუშათა გაფიცვის საკითხში და ამბობს, რომ საერთო გაფიცვის მოხდენა უკიდურეს მემარცხენე პარტიების დაუხმარებლად შეუძლებელი საქმეაო. მაგრამ უკიდურესი პარტიებიც სხვადასხვანაირად უყურებენ სახელმწიფო სათათბიროს და საერთო გაფიცვაც ყველას არა სწამს. ორატორი თხოულობს, ამომრჩეველთა არჩევნებს დაუცადოთ და გამოვიანგარიშოთ: თუ [illegible] რადიკალები გამოდგა, დეპუტატთა უმეტესობაც რადიკალური იქნება; ამ შემთხვევაში სათათბიროში უნდა წავიდეთ, ხოლო თუ ამომრჩეველთა უმეტესობა რევოლუციონური გამოდგა, სათათბიროს ბოიკოტი გამოვუცხადოთ და ერთ დეპუტატსაც ნუ გავგზავნითო.

ბერნშტამის აზრით, ვექილთა კორპორაციამ მარჯვნივ არ უნდა გადაუხვიოს, თორემ იმ საზოგადოების თანაგრძნობას დაჰკარგავს, რომელსაც მომავალი ეკუთვნის. „საარჩევნო კრებებს გარშემო ციხეს შემოარტყამენ და ახლო არავის მიუშვებენ. საერობო პარტია დარწმუნებულია, რომ ის მთელ საზოგადოებას ფეხზე დააყენებს, მაგრამ, საკვირველია, რატომ აქამდის არ დააყენა ფეხზე ეს საზოგადოება ერობამ? 6 აგვისტოს კანონს მიზნად ის აქვს, რომ უკიდურეს პარტიებს მოწინააღმდეგე ძალა გაუჩინოს და რუსეთსაც ევროპაში სახელი გაუკეთოს. მერე ეთანხმება განა ეს პროგრესიულ ელემენტების ინტერესებს? საერობო პარტიას მხოლოდ განაპირა ქვეყნების იმედი აქვს (შუა რუსეთის იმედი კი სულ არა აქვს) და დარწმუნებულია, რომ ფინლანდია, პოლონეთი, მალოროსია, კავკასია და ციმბირი უკიდურეს მემარცხენე დეპუტატებს გამოგზავნიან. ვთქვათ საერობო პარტიას 100 თანამოაზრე დეპუტატი მიემატა განაპირა ქვეყნებიდან. მერე რას გააკეთებენ ესენი? ილაპარაკებენ და წავლენ. ამათ რეალური ძალა არა აქვთ და მათი წასვლაც შთაბეჭდილებას არ მოახდენს“.

დობროვოლსკი: „ჩვენ მხოლოდ იმათ უნდა მივცეთ ხელი, ვინც რეალურ ძალას წარმოადგენს. სწორედ იმ წუთს, როცა სათათბიროში ხალხის უფლებებს მოითხოვენ, პეტერბურგის ქუჩას გადამწყვეტი ხმა მიეცემა“.

დ. ანდრონიკაშვილი მარგულიესს არ ეთანხმება და ამტკიცებს, რომ საკითხი სწორედ უნდა გადავწყვიტოთ: ან წავიდეთ, ან არ წავიდეთო. თვითონ ანდრონიკაშვილი მომხრეა წასვლისა.

სოკოლოვი ამტკიცებს, რომ საერობო პარტია ოპორტუნისტობას დაიწყობს და უმეტესობა მათ ხელში იქნება, ბევრს ვერაფერს მივიღებთ. ტყუილად კი არ ლაპარაკობდნენ ამ პარტიის კრებაზე რაღაც „საკანონმდებლო საჭიროებაზე“. ჩვენ მონაწილეობა არ უნდა მივიღოთ არჩევნებში, რადგან ამ შემთხვევაში ნება გვექნება საერობო და სხვა პარტიებს კრიჭაში ჩავუდგეთ და ვუთხრათ, რომ ისინი ხალხის წარმომადგენელნი არ არიან. მაგრამ თუ არჩევნებში მონაწილეობა მივიღეთ, მაშინ ამას ველარ ვეტყვითო.

კამათი ამ საღამოს არ გათავებულა და არც საკითხისთვის უყრიათ კენჭი. მხოლოდ ის კი ცხადია, რომ პეტერბურგის ვექილებს უკიდურესი რადიკალები ხელმძღვანელობენ, რომელნიც, როგორც კრების ანგარიშიდან სჩანს, კომპრომისებს არ მიიღებენ და ერთხელვე დასახულ მიზნისკენ პირდაპირ წავლენ (ს. ო.).

ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა კავშირის დადგენილება.

ქ. ქუთაისში 27, 28 და 29 სექტემბერს მოხდა კრებები ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა დელეგატებისა. სათათბირო საგანი იყო: 1) წავიდნენ მასწავლებლები სკოლებში, თუ კიდევ განაგრძონ გაფიცვა. 2) წარუდგინონ დირექტორს მოთხოვნილებანი, თუ ისე შევიდნენ სკოლებში. ყოველ მაზრაში დელეგატების მიერ შეკრებილ ცნობებით და ბოლოს უმეტესობით მასწავლებელთა კავშირმა დაადგინა, სწავლა დაიწყოს განახლებულის პროგრამით და და-

---

ლები. აქ სხვაგან გაღებული თვითოეული მაღაზია თუ რამ სავაჭრო, ან სამრეწველო დაწესებულება ლახვარივით ხვდება, ჩვენ ბურჟუაზიას, რადგან ამცირებს მისს სამრეწველოს, მის მუშტარს. მეორე მხრივ, ჩვენი ბურჟუაზიის შვილები, საშუალო თუ უმაღლესს სწავლა-მიღებულნი, მოგეხსენებათ, გონებრივ შრომის გაყიდვით ცხოვრობენ; ადგილებს საჭიროებენ სხვადასხვა სავაჭრო, სამრეწველო თუ საზოგადო დაწესებულებებში, ან ლიტერატურაში.

ჩვენი ბურჟუაზია დაინტერესებულია, რაც შეიძლება, მეტი ხალხი ლაპარაკობდეს ქართულად, რაც შეიძლება, მეტად ვითარდებოდეს ქართული ენა, ლიტერატურა, ქართული დაწესებულებანი, იზრდებოდეს და ფართოვდებოდეს ქართული ტერიტორია; და რომ ამ ტერიტორიაზე ის იყოს ბატონ-პატრონი, მას ეკუთვნოდეს მონოპოლია, საჭიროა საქართველოს შემოევლოს საკანონმდებლო სარტყელი, ე. ი. განხორციელდეს ავტონომია საქართველოსი. ამრიგად, ეკონომიური ბრძოლა უცხო ტომის და განსაკუთრებით სომხის ბურჟუაზიასთან ღებულობს ეროვნულ ხასიათს; ჩვენი ბურჟუაზია ეხვევა ეროვნულ მანტიაში, ე. ი. ეძლევა ნაციონალისტურ ბრძოლას.

მერე როგორ უნდა ჩაიყაროს ეროვნულ ტერიტორიის მიჯნები? მოგეხსენებათ, როცა ჩვენში ორი ძმა იყრება ხოლმე და ინაწილებს თავის სარჩო-საბადებელს, აქ არა იშვიათად მედიატორეთა მაგიერობას ეწევა ხოლმე ხანჯლის ტრიალი, და ვერ წარმოგვიდგენია, როგორ უნდა გაიმიჯნოს ეროვნული ტერიტორია, რაც ისტორიის განმავლობაში ათასჯერ შეცვლილა და დღეს არავინ იცის, სად თავდება ერთი ერის საცხოვრებელი და სად იწყება მეორესი, როგორ უნდა გაიმიჯნოს ისე, რომ ამ ოპერაციის დროს ყველას თაფლი და შაქარი ამოსდიოდეს პირიდან? მარა წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი, ვთქვათ, მოხდა გამიჯვნა. როგორი იქნება ერთა შორის განწყობილება ავტონომიურ ეროვნულ ტერიტორიაზე *)? — საუცხოვო, მეგობრული — გვარწმუნებენ ჩვენი მოკამათენი — აქ სრული ეროვნული თანასწორობა იქნება გამეფებულიო. ჩვენ ვამბობთ,—სწერს „ივერიის“ მეთაური მოხსენებულ წერილში—რომ ეროვნული თვითმართველობა კონსტიტუციით უნდა აძლევდეს გარანტიას ყოველ მცირე რიცხოვან ხალხს, რომ მისი ეროვნული ინტერესები გათელილი არ იქნება უმრავლესობისაგან. რა გარანტიაა ეს, რომ მცირე რიცხოვან ხალხის ეროვნულ ინტერესებს უზრუნველ ჰყოფს ამ ხალხის კულტურულ განვითარების თავისუფლებას. კერძოდ, ენის თავისუფლებისთვის საჭიროა მისი თანასწორ უფლებიანობა მეზობელ ხალხის ენებთან; ე. ი. საჭიროა, რომ, მაგ., ავტონომიურ საქართველოში ყოველგვარ დაწესებულებებში ქართულთან ერთად თანასწორად იხმარებოდეს სომხური, თათრული და, შეიძლება, სხვა ენებიც. მაგრამ არავისთვის არ არის დაფარული, რომ ავტონომიურ საქართველოში ოფიციალურ ენად უნდათ მხოლოდ ქართული ენა; (იხ., მაგ., ტფილისის ინტელიგენტ საქართველოს ავტონომისტებისაგან შედგენილი საერობო დაწესებულებათა პროექტი); და არც წარმოსადგენია სხვანაირი სურვილი. საზოგადოდ, რომ ეროვნულ-კულტურული განვითარების თავისუფლება უზრუნველყოფილ იქმნას, საჭიროა ეს ერი თვითონვე ჰმართავდეს და განაგებდეს ყველა თავისს საქმეებს, თვითონვე ეპყრას ხელთ თავისი სვე-ბედი, თვითვე იყოს თავისი კანონმდებელი; ეროვნული თვითარსებობა დაცულია მხოლოდ მაშინ, როცა ერს მოპოვებული აქვს საკანონმდებლო თვითარსებობა, საკანონმდებლო თვითმართველობა, ავტონომია. ეს არის აუცილებელი პირობა ერთა შორის თანასწორობის განსამტკიცებლად. მაშასადამე, ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიაში, მაგ., საქართველოში, რომ მცირე რიცხოვან ხალხების ეროვნული ინტერესები არ იქნას გათელილი, საჭიროა ქართველთა ავტონომიის საზღვრებში ჩაჭედილ იქმნას სომხების, თათრების და სხვათა ავტონომიები; ეს კი სრული ულოღიკობაა, უაზრობაა, მტკნარი აბსურდია.

მოკამათენი ხშირად მიგვითითებენ ხოლმე დემოკრატიულ შვეიცარიაზე, „სადაც ფრანგები, გერმანელები და იტალიელები ერთმანეთში არიან არეული. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეროვნულ უთანასწორობის შესახებ, ამ ბედნიერ ქვეყანაში, კრინტიც არავის დაუძვრის“ („ცნობის ფურცლის“ მეთაური, № 2911). შვეიცარია, მართლაც, არ არის ურიგო მაგალითი ჩვენი აწეწილ-დაწეწილი ცხოვრების მოსაგვარებლად, თუ კი ჯეროვანათ ვისარგებლებთ ამ მაგალითით, სწორედ შევიგნებთ შვეიცარიის ისტორიულ განვითარებას, სამართლიანად დავაფასებთ მის სახელმწიფო ცხოვრებას და აქედან დასკვნებს გამოვიყვანთ, რომელნიც ბუნებრივად, ლოღიკურად გამომდინარეობენ იქიდან.

მთელი საუკუნოების განმავლობაში—1848 წ. კონსტიტუციამდე—შვეიცარიის კანტონები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელ, განსაკუთრებულ სახელმწიფოებს. კანტონებში მცხოვრებნი არ ყოფილან გადარჩეულნი ეროვნული კანონის მიხედვით. აქ ერთ მხარეზე იდგა პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ქვეშევრდომნი, მეორე მხარეზე—ყოველგვარ პრივილეგიებითა და სუვერენული ძალით აღჭურვილი საზოგადოებრივი ჯგუფი (არისტოკრატია). მათ შორის გამართული იყო ხანგრძლივად სასტიკი დაუნდობელი ბრძოლა, მარა ბრძოლა, რა თქმა უნდა, არა ეროვნული, არამედ მოქალაქობრივ-პოლიტიკური. ამ ბრძოლის შინაარსი იყო ხალხის სუვერენიტეტის წარმოშობა. არც დღესა სძრავენ კრინტს ეროვნულ უთანასწორობაზე, რადგან იქ არ არსებობს სხვადასხვა ერი გერმანელი, ფრანგი თუ იტალიელი; იქ გაბატონებულია ერთათ ერთი, განუყოფელი ერი, არის შვეიცარიის ნაცია, ერთი პოლიტიკური მთელი, რომლის მართვა-გამგეობაში თანასწორ მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, გაურჩევლად მოდგმისა და სარწმუნოებისა: შვეიცარიის სახელმწიფო წყობილების ქვა-კუთხედ ტერიტორიალური პრინციპი და არა ეროვნული, როგორცა თხოულობენ ჩვენი მოკამათენი.

კავკასიის ტერიტორიის რომელი კუთხეც უნდა აიღოთ, იქ მიუცილებლივ წააწყდებით ეროვნულ განხეთქილებას, ეროვნულ შურსა და მტრობას, რასაც აწარმოებს იქ მოსახლე ერობის ბურჟუაზია, ეკონომიურ კონკურენციის ნიადაგზე. თვითოეული მათგანი თავისკენ ეწევა საბანს, ცდილობს თვითონ დაიპყროს სამოქმედო ასპარეზი, თვითონ გაბატონდეს სხვების დასაჩაგრავად. ჩვენი ბურჟუაზიის ეროვნული პოლიტიკა, ეროვნული მოთხოვნანი აფართოებს და ანვითარებს კავკასიის ხალხის უკვე არსებულ ეროვნულ უთანხმოებას, რასაც [illegible] აგრეთვე არსებული საერთო ნაციონალურ ვნებათა ღელვას და მით კავკასიის კულტურულ განვითარებას აგდებს მშვიდობიან კალაპოტიდან. ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა—დიდად ვნებს მშრომელ ხალხის ინტერესებს; იგი განსაკუთრებით რევს და აბნელებს ხალხის შეუგნებელ ნაწილის ცნობიერებას. დღეს კავკასიის ყველა ერების შეგნებული პროლეტარიატი უკვე ძმურად შეერთებულია; იგინი ერთად დგენან, ერთად მუშაობენ, ერთად მოქმედებენ, ერთსა და იმავე ორგანიზაციაში იმყოფებიან; ბურჟუაზია კი ნაციონალისტურ პოლიტიკით ცდილობს შეჰქმნას ნიადაგი მათი გათიშვა-განცალკევებისა, ცდილობს მათი ძალები დაქსაქსოს, დაასუსტოს, გააბათილოს, და ამის ნებას შეგნებული პროლეტარიატი, რასაკვირველია, არ მისცემს არც ერთ ერის ბურჟუაზიას.

ჩვენი ბურჟუაზიის ნაციონალისტური პოლიტიკა მავნებელია იმ მხრივაც, რომ იგი უტოპიურია და, როგორც ამნაირი, იძლევა ენერგიის უნაყოფო გაფლანგვას. იგი შეუგნებელ ხალხის ყურადღებას აქცევს იქითკენ, საითაც იგი არ უნდა იყოს მიმართული. მართლაც, ვინ განახორციელებს საქართველოს ავტონომიას? რუსეთი?.. ჩვენი ბურჟუაზია თავის იმედებს ამყარებს ისეთ მოვლენებზე, როგორიც იყო მაგ. ამას წინად მოსკოვში მომხდარი ერობათა და ქალაქების წარმომადგენელთა კრება. ამ კრებას თუ აქვს თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა საზოგადოდ, მას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს კერძოთ ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ დღეს რუსეთის ბურჟუაზია განიცდის რომანტიულ, იდეალისტურ ხანას. იგი მარჯვედ მიდის თავის კლასიურ ბატონობისკენ და ამას აცხადებს მთელი ქვეყნიერობის ბედნიერებად. იგი უკვე დღესასწაულობს ხვალინდელ გამარჯვებას, დამთვრალია ამ გამარჯვებით და, რაღა საკვირველია, რომ იგი მარჯვნივ და მარცხნივ არიგებდეს ავტონომიებს (სიტყვიერად). საყურადღებოა, რომ ასეთ სულიერ აღმაფრენის დროსაც კი მან საქართველოსთვის ვერ გაიმეტა ავტონომია. მართალია, კორესპონდენტი გვაიმედებს, რომ ეს მოხდა სრულიად შემთხვევით. კრებაზე არ აღმოჩნდა ერთი მოხერხებული ორატორი, რომ საქართველოს სასარგებლოდ ელაპარაკნა. ასეთი ორატორი რომ ყოფილიყო, კრება აუცილებლად მიიღებდა საქართველოს ავტონომიაზე ისეთსავე რეზოლიუციას, როგორიც გამოიტანეს პოლონეთის სასარგებლოდ. ეს სწორედ საუცხოვო რამეა. მოგეხსენებათ, ბურჟუაზიული თუ იდეალისტური ინტელიგენცია დარწმუნებულია, რომ იგი დიდ როლს თამაშობს ისტორიაში, და რაკი მისი ერთად-ერთი ფარ-ხმალია სიტყვა, მჭერმეტყველება, ფიქრობს საქვეყნო საქმეების გადამწყვეტი იყოს სიტყვა. ჩვენთვის კი ცხადზე უცხადესია, რომ ცხოვრებაში მხოლოდ ის პოლიტიკური მოთხოვნა პოულობს განხორციელებას, რომელსაც კომენტარიების არგუმენტაციად თან ახლავს რეალური ძალა, და რომ ასეთ ძალას არ წარმოადგენს ერთი მუჭა ქართველი ბურჟუაზია, ანუ კავკასიის სხვა რომელიმე ერის ბურჟუაზია, ესეც ჩვენთვის ცხადზე უცხადესია.

ნაციონალურ პრობლემას მხოლოდ მაშინ შეიძლება ეღირსოს გადაწყვეტა, როცა მის განსახორციელებლად შემოკრბება კავკასიის ყველა ერების ოპოზიციონური და პროგრესიული ძალები. გავიხსენოთ, მაგ., მაკედონიის მწვავე, სასტიკი და დაუსრულებელი ეროვნული მოძრაობა. რატომ არის, რომ ამ მოძრაობას სულთანი დღევანდლამდე წარბშეუხრელი უცქერის და ამ ქვეყნის ყოველ ვულკანიურ ამოქშენაზე ის მხოლოდ ულვაშებში იცინის? მხოლოდ იმიტომ, რომ მაკედონიის სამივე უმთავრესი ერი მტრულ ბანაკებად არის გაყოფილი; თვითეული მათგანი თავისკენ ეწევა საბანს და მოძმე ერს კი წიხლს აჭერს. ასე, როდესაც ბოლგარელები ამხედრდებიან ხოლმე გასანთავისუფლებლად, მათ ბრძოლა უხდებათ არა მარტო ოსმალელებთანა და ალბანელებთან, არამედ აგრეთვე ბერძნებთან და სერბებთან.

მაგრამ ჩვენი ბურჟუაზია მაინც ვერაფერს ჰხედავს თავის ცხვირს იქით, იგი ჩაჭერილია თავის ვიწრო, დღიურ, წარმავალ, ჯგუფებრივ, კლასიურ ინტერესებს და ვერა სარგებლობს ისტორიის ვერც წარსულ და ვერც იწმყო გაკვეთილებით. ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიას არაფერი არ დაუვიწყნია, არაფერი არ უსწავლია.

ვლ. დარჩიაშვილი

---

*) „ცნობის ფურცელი“ ამბობს: „ჩვენდა საბედნიეროდ—ქართველებისთვის ტერიტორიალური ავტონომია ისეთს საზღვრებში შეიძლება იქმნას ჩაყენებული, რომ იმის ტერიტორიაზე **თითქმის** მარტო ქართველები მოსახლეობდნენ“-ო (იხ. № 2911). თითქმის! ჰმ!.. ამაზეა ნათქვამი „ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას კი არხობსო“.

რექტორს წარუდგინოს ჯერ-ჯერობით მარტო შემდეგი ორი უმთავრესი მოთხოვნილება, რომელიც დაკმაყოფილებულ უნდა იქმნას აუცილებლივ: 1) მიღებულ იქმნან თავიანთ ადგილზედ, როგორც დირექციის მიერ დათხოვნილი მასწავლებლები, აგრეთვე ადმინისტრაციის წარდგენით დათხოვნილნი და დაპატიმრებულნი, და 2) მიეცეს ყველას გაფიცვის დროის ჯამაგირები უსათუოდ ხაზინიდან საზოგადოების შეუწუხებლად და ყოველგვარ რეპრესიულ ზომების მიუღებლად.

შემდეგ არჩეულ იქმნა დელეგატებისგან დეპუტაცია, რიცხვით შვიდი კაცი, და გაიგზავნა დირექტორთან 28 სექტემბერს. დირექტორმა მიიღო დეპუტაცია, დიდხანს ესაუბრა მათ მასწავლებელთა მდგომარეობისა და სკოლების გაუმჯობესების შესახებ; შემდეგ სიტყვა მისცა დეპუტაციას, რომ ყველანი უსათუოდ დაბრუნებულ იქმნებიან თავიანთ ადგილზე; ვინც ხაზინიდან იღებდა ჯამაგირს, უკლებლივ მიიღებს ხაზინიდან, ხოლო მეორე კატეგორიის მასწავლებელთა შესახებ, რომლებიც საზოგადოებისგან იღებდნენ ჯამაგირს, მოელაპარაკება გუბერნატორს და ვიშუამდგომლებ ნამესტნიკთან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის დახმარებით, რომ ყველანი დაკმაყოფილონ როგორც ხაზინიდან, როგორც ეხლა, ისე შემდეგშიაცო. წინააღმდეგ შემთხვევაში მასწავლებლებს არ დავავალებ სამსახურს ასეთ სკოლებში და, თუ საზოგადოებაც არ იკისრებს ჯერ-ჯერობით თავის სკოლების შენახვას, როგორც დღემდე, იმ შემთხვევაში საზოგადოების სკოლები დაიხურებაო. იმავე დღეს დირექტორი გუბერნატორთან წავიდა მოსალაპარაკებლად, 29-ს კი ტფილისში გაწვია მზრუნველისა და ნამესტნიკის სანახავად.

ამის შემდეგ კავშირმა დაადგინა, სამ ოქტომბრიდან მასწავლებლებმა თვითონ მოაწყონ სოფლებში სწავლის საქმე, და დაარსონ სასკოლო ორგანიზაციები.

საპენსიო კასიდან ფულების დაბრუნებისა და სხვა მოთხოვნილებათა შესახებ კავშირს შემდეგ ექნება თათბირი. ის დამნაშავე მასწავლებლები, რომელთაც კრებამ დროებით სამსახურიდგან გადადგომა და ბოიკოტი გამოუცხადა, კავშირს დირექტორთან აღარ წარუდგენია. მათი საქმე კავშირმა მიანდო ადგილობრივ მასწავლებელთა ორგანიზაციას. თავის მხრით დირექტორმა ამათ შესახებ გამოსთქვა სურვილი, რომ კავშირმა მათ აპატიოს ამ ხანად, შემდეგ კი დამნაშავე მასწავლებლების გასამართლება მიენდოს საამხანაგო სასამართლოს.

დასასრულ, უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთ ზნე-დაცემულ მასწავლებელთა საქციელი, რომლებიც თურმე დაძვრებოდნენ დირექციაში, აბეზღებდნენ თავიანთ ამხანაგებს და ჯაშუშობდნენ...

ვ. ბ.

რუსეთი

როგორც ვიცით, რუსეთში არსებობდა ისეთი კანონი, რომლის ძალით გაროზგილ გლეხებს ზოგიერთი უფლებანი ერთმეოდათ. ახლა გუბერნატორები მანიფესტის ძალით ადგენენ გლეხთა სიას, რომელნიც „გასწორდნენ". ეს სიები სამინისტროში უნდა გაიგზავნოს დასამტკიცებლად, ე. ი. „გასწორებულ" გლეხთა უფლებების აღსადგენად. ამას წინად ნიჟეგოროდის გუბერნატორმაც წარადგინა სამინისტროში ამნაირი სია. ამ სიიდან სჩანს, რომ მარტო ამ გუბერნიაში „**გასწორებულა 6300 გაროზგილი.** საინტერესოა, რამდენმა გაროზგილმა არ ისურვა „გასწორება" (ნ. ვ.).

◆ 29 სექტემბერს ბაქოს მუშათა წარმომადგენლებს თავიანთი **მოთხოვნილებანი** წარუდგენიათ ფინანსთა მინისტრისთვის. მუშები ირწმუნებიან და ამტკიცებენ, რომ მუშათა მოძრაობა ვერც მთავრობის რეპრესიამ შეაჩერა და ვერც კაპიტალისტების მიერ მოგონილმა ხრიკებმა და ვერც შემდეგში შეაჩერებს. პირიქით, ძალმომრეობა მხოლოდ ძალმომრეობასვე იწვევდა. „სიმშილი, უკიდურესი გაჭირება და შევიწროება სიკვდილზე უარესია,— სწერენ მუშები.—ვერც ერთი მთავრობა კაპიტალისტს ვერ აიძულებს, რომ მან ან $5^0/_0$-ით მოუმატოს სამუშაო ქირას, ან 1 საათით შეამციროს სამუშაო დღე, ან მუშას ძალა დაატანოს და ისეთ პირობებით ამუშაოს, რომელიც მუშისთვის ხელსაყრელი არ არის". მუშები ამტკიცებენ, რომ „კანონი უსამართლოდ ექცევა". კაპიტალისტებს კავშირის უფლება აქვთ, მუშებს კი ამის ნებას არ აძლევენ. მთავრობამ ხელი შეუწყო ისეთ პირობების შექმნას, რომ კაპიტალისტები მხოლოდ ბრძანებას აძლევენ, მუშები კი ძალაუნებურად მონურად ემორჩილებიან ამ ბრძანებას". მუშები აცხადებენ: „ჩვენ ვებრძოდით ამგვარ უსამართლობას და შემდეგშიაც ვებრძოლებითო". დასასრულ, მუშები თხოულობენ ორგვარ რეფორმას: უფლებრივსა და ეკონომიურს. აი, ზოგიერთი საინტერესო მუხლი ამ მოთხოვნილებისა: თავისუფლება სიტყვისა, გაფიცვისა, იარაღის ტარებისა; 8 საათის სამუშაო დღე; მუშებმაც წარმომადგენლები უნდა გაგზავნონ სახელმწიფო სათათბიროშიაც და ბაქოს საბჭოშიაც; მთავრობამ ბაქოს ქარხნებიდან მოუსვენარი თათრები უნდა გადაასახლოს (?) და სხ. (ნ.).

◆ გაგრაში მოკლული ლ. შერემეტიევი წინად პეტერბურგის **საიდუმლო პოლიციის უფროსად იყო.** სამსახური უბრალო პოლიციელობით დაიწყო და 40 წლის შემდეგ საიდუმლო პოლიციის უფროსად გახდა (ნ.).

◆ ოდესის სამხედრო ოლქის ჯარების უფროსმა შემდეგი **ბრძანება** გასცა: „ვილნოს პოლკის პოდპორუჩიკი მაკკი 13 მარტს როტის უფროსმა იალტაში გაგზავნა უწესოების მოსასპობად და მშვიდობიანობის აღსადგენად. მაკკი თავის რაზმით აჯანყებულ ხალხთან მივიდა და ბრძანების ასრულების მაგივრად აჯანყებულთა დარიგებას შეუდგა, მაკკიმ ხალხს უთხრა, თოფს არ გესვრით, რადგან ნაბრძანები არა მაქვსო, მე მხოლოდ ცეცხლ-მოკიდებული სახლები უნდა გადავარჩინოო. ამისთანა უადგილო ლაპარაკისთვის და **ხალხის უდროვო დარიგებისთვის** პოდპორუჩიკი მაკკი ორი კვირით უნდა იქმნეს დაპატიმრებული (ნ.).

◆ პეტერბურგში გაფიცულ ფარმაცევტებს ექიმთა კავშირის ბიურო ხელმძღვანელობს. გაფიცულებმა გაიმარჯვეს. დღემდის მხოლოდ ორიოდე მეაფთიაქე ჯიუტობს. კავშირის ბიურო ოფიციალურადაც აცხადებს ხოლმე, ამა და ამ მეაფთიაქემ ფარმაცევტების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილა და ამიტომ მას ბოიკოტი გამოეცხადაო (ნ.).

◆ **ჯილდოების მაგივრად,** მოსკოვში მოსულა ერთი სალდათი, ვინმე შვარცი, რომელსაც წარსულ ომის დროს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია თერთმეტ ალაგას არის დაჭრილი, სამი გიორგის ჯვარი აქვს და რამდენიმე სხვა-და-სხვა საჩუქარი. შვარცს იალუზე გადმოსვლისას, ბრძოლის დროს, გადაურჩენია აფიცერი, რომელიც წყალში იხრჩობოდა; შვარცი ბრძოლის დროსვე იაპონელთა წამლის საწყობს მიჰპარვია და აუფეთქებია; შვარცი მუკდენის მახლობლად მძიმედ დაიჭრა და ტყვედ იქმნა წაყვანილი იაპონიაში, მაგრამ იქიდან გამოიპარა. ახლა შვარცი მოსკოვში მოსულა მშობლების სანახავად, მაგრამ... პოლიცია მოსკოვში არ აყენებს. მიზეზი ის არის, რომ გმირი შვარცი.. ებრაელია; ებრაელებს კი მოსკოვში ცხოვრების ნება არა აქვთ (ნ.).

◆ პოლონურ წიგნთ-გამომცემელმა ამხანაგობამ „გებეტნერ და ვოლფ"-მა 100,000 ანბანის წიგნი გამოსცა და ხალხს **უფასოდ დაურიგა.** წიგნები დასურათებულია და მშვენივრად არის გამოცემული. წიგნების დარიგება ცნობილმა მწერალმა სენკევიჩმა იკისრა (ნ.).

◆ ვარშავაში პოლონეთის 19 სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელთა კრება მოხდა. სამეურნეო საზოგადოებებმა **კოოპერაცია დააარსეს** სამეურნეო იარაღისა და თესლეულობის შესაძენად და ხელსაყრელ პირობებით ხალხში დასარიგებლად (ნ.).

◆ ერთი ქალი, ვინმე სმოლკო, რუსეთ-იაპონიის ომში თარჯიმანად იყო, კაცურად ეცვა, ცხენზე იჯდა და მზვერავ რაზმებს დასდევდა. ამ ქალს „რუს"-ის თანამშრომლისთვის შემდეგი უამბნია: „ივნისში, რაზმის უფროსის ბრძანებით, ხარბინში ამოვედი რაღაც საქმისთვის. ერთ საღამოს ცირკში ვიყავი. წარმოდგენის დროს ხარბინის კომენდანტი პოლკოვნიკი დუნკინი მომიახლოვდა და მითხრა, კანონის ძალით გიბრძანებთ, ადექით და გამომყევითო. მეც გავყევ. დუნკინმა ცირკის უკან გამიყვანა. უცებ რამდენიმე კაზაკი მეცა: შემკრეს, ნაბადში გამახვიეს და საპყრობილეში წამიყვანეს. იქ ტანისამოსი გამხადეს, მხოლოდ საცვალი და შემარჩინეს და მამაკაცებთან ერთად დამამწყვდიეს. საპყრობილეში ისე მცემეს, რომ ნეკნები ჩამიმტვრიეს. ყველაზე ძლიერ პოლიცმეისტერი ციგლერი მცემდა; პირსახეში მაფურთხებდნენ, მაგინებდნენ, მლანძღავდნენ და ათასგვარ შეურაცყოფას მაყენებდნენ. მერე რად, რისთვის? იმიტომ რომ პოლიცმეისტერმა [illegible] ეუთხარი. საპყრობილეში სამი კვირა ვიჯექი და იქნება უფრო მეტ ხანსაც დავრჩენილიყავ, მაგრამ პატიმრებმა შემიბრალეს და გენერალ ხორვატს შეატყობინეს. ეს გენერალი საპყრობილის სარევიზიოდ მოდიოდა ხოლმე, მაგრამ მე ვერ ვხედავდი, რადგან სწორედ ამ დროს სადმე დამმალავდნენ ხოლმე. როცა გამომიშვეს, ხელწერილი მომთხოვეს, რომ არ გვიჩივლებო. არც პოლიცმეისტერი და არც კომენდანტი **არავის დაუსჯია** (კ.).

◆ მაქსიმ გორკის ერთ ალაგას თავის ახალი პიესა უნდა წაეკითხა, დარბაზში შესასვლელი ფასი 35 მან. დანიშნა და... **პიესის წაკითხვაში 5000 მან. აიღო** (რ.).

კორესპონდენცია

—:—

ქ. ოდესა. 17 სექტემბრისათვის სტუდენტთ საზოგადო კრება ვერ შესდგა, ვინაიდგან კრების გახსნამდე აუდიტორიაში, აუარებელმა გარეშე ხალხმა მოიყარა თავი და სტუდენტების დიდი ნაწილი კი გარეშე დარჩა. კრება გადაიდო.

24-ს მსჯელობის დაწყებამდე, კრების თავმჯდომარემ სთხოვა კრებას, ფეხზე წამოდგომით პატივი ეცათ ახლად გარდაცვალებულის პროფესორის რეპიახოვის, ხსოვნისათვის. ეს პროფესორი აკადემიურ კავშირის პირველი წევრთაგანი იყო. ფეხზე წამოდგომით პატივი სცეს აგრეთვე მებრძოლთ, რომელთაც თავი შესწირეს უკეთესს მომავალს.

შემდეგ ამისა, კრება გადავიდა პროგრამის განხილვაზე. პროგრამა არის შემდეგი:

ა) სტუდენტთა აზრი მთავრობის სხვადასხვა განკარგულებაზე.

1) რეფორმები: სახელმწიფო სათათბირო, უნივერსიტეტის ავტონომია და სხვა-და-სხვა კომისიები.

2) რეპრესიები: სამხედრო წესი, სიკვდილით დასჯა, „პოგრომ"-ები და სხვა.

ბ) ეროვნული საკითხი.

გ) რა ღვაწლი მიუძღვის სტუდენტობას განმანთავისუფლებელ მოძრაობაში.

დ) როგორ უნდა დაიჭიროს თავი სტუდენტებმა შემდეგში.

1) გაიხსნას უნივერსიტეტი, თუ კვლავ განაგრძონ გაფიცვა.

ხოლო თუ უნივერსიტეტში სწავლა დაიწყო:

2) წარუდგინოს აუცილებელ აღსასრულებლად მოთხოვნილებანი.

3) უნივერსიტეტში შესვლის ნება მიეცეთ საშუალო სასწავლებლებში სწავლა თავდასრულებულ ქალებს, სემინარიელებს და სხვებს.

4) კურსიდან კურსზე პირობითი გადაყვანა (условный переводъ).

5) სწავლა საგნებითა სისტემით (пред. система).

6) სტუდენტთა ორგანიზაციები პოლიტიკური, აკადემიური და სხვა.

პირველ მუხლის შესახებ 21 ორატორმა ილაპარაკა. ილაპარაკეს ბევრი, მეტად აღფრთოვანებულად და მახვილად, ბევრი სხვა-და-სხვა აზრი წარმოითქვა მაგრამ ხალხს აშკარად დაეტყო ორატორთ ორ ბანაკად გაყოფა. ერთნი ამტკიცებდნენ: უნდა მივიღოთ რეფორმები, როგორც სახელმწიფო სათათბირო, აგრეთვე უნივერსიტეტის ავტონომია, რათა პირველში გავიყვანოთ ჩვენი კანდიდატები და მით სათათბიროზე ზედგავლენა მოვახდინოთ.

მოწინავენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ არავითარი ზნეობრივი უფლება არა გვაქვს მივიღოთ და გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენელი იმ დაწესებულებაში, რომელიც ბიუროკრატიის ძალით გამოსტაცა ხალხმა და რომელშიც მას თვითონ კი რა აქვს შესვლის უფლება. ან რა თავისუფლებაა უნივერსიტეტის ავტონომია, რომელიც გარდა რექტორის და დეკანების ამორჩევისა, სხვას არას გვაძლევსო.

ეროვნულ საკითხის აძვრამ დიდი კამათი გამოიწვია. ყველაზე ბევრს ლაპარაკობდნენ ებრაელნი, რომელნიც ორ ბანაკად დაიყვნენ: სიონისტები ამტკიცებდნენ, რომ ვინაიდგან ჩვენ, ებრაელებს, რუსეთში არა გვაქვს ტერიტორია, რუსეთის მოძრაობაში არ უნდა ვერიოთ და მიზნად მხოლოდ საკუთარის ტერიტორიის მოპოვება უნდა გვქონდესო. ბუნდელებმა უპასუხეს მათ: თქვენ ბურჟუები ხართო.

შემდეგ ილაპარაკა ერთმა მალორუსმა და მალორუსიისათვის საჭიროდ სცნო ავტონომია. მოკლედ განმარტა აგრეთვე პოლონელთა, ქართველთა და სომეხთა საკითხებიც. კავკასიაში მომხდარ ძალმომრეობათა ამბებს ყველა ზიზღით იხსენიებდა.

ამ კრებაზე აშკარად გამოირკვა ყველა პარტიების ფიზიონომია. რევოლუციონერები, სოც.-დემოკრატები „უმრავლესობა", ბუნდისტები და ეროვნული წრეები თხოულობდნენ უნივერსიტეტის დაკეტვას, ვინაიდგან სწავლა იმ დროს, როდესაც ყოველ მხრიდგან ისმის მომაკვდავ მებრძოლთა კვილი, შეუძლებელიაო. ს.-დემოკრატები „უმცირესობა", აკადემისტები და „ლიგი"-სტები კი თხოულობდნენ: უნივერსიტეტი უნდა უეჭველად გაიღოსო. ბოლოს ამ საკითხს კენჭი უყარეს და 789 ხმის უმეტესობით 592 წინააღმდეგ, გადასწყდა, რომ უნივერსიტეტი გაიღოსო. მაგრამ, რადგანაც ოდესაში ისევ სამხედრო წესებია, კრებამ საჭიროდ სცნო კენჭი ეყარა შემდეგ კითხვისათვის: შესაძლოა გაღება უნივერსიტეტისა მაშინ, როდესაც ისევ სამხედრო წესებიაო. კრებამ ხმის დიდის უმეტესობით დაადგინა: არ გამოიტანოს არავითარი რეზოლუცია, ვიდრე სამხედრო წესები არ იქნება ახსნილი. ასე რომ, ფაქტიურად, უნივერსიტეტი ისევ დაკეტილი დარჩა.

ობოლი.

წერილი რედაქციის მიმართ

—

ბატონო რედაქტორო! „ივერიის" გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია:

„ქალაქის საბჭოს ხმოსანი გ. მ. თუმანოვი ამჟამად დაიარება ხმოსნებთა და სამსახურის მსურველთ ხელს აწერინებსო".

ამ ამბის შემთხზველი ვერ დაასახელებს ვერც ერთს ხმოსანს, რომელთანაც მე ვყოფილიყო და რომლისათვისაც მეთხოვნოს, ხელი მოეწერათ სამსახურში დაბრუნებაზე.

გ. თუმანიშვილი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 ოქტომბერი.

ჰელსინგფორსი, 5 სექტემბერი. 10 ოქტომბერს პეტერბურგში ტაგანცევის თავმჯდომარეობით შესდგება კრება კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს, როგორ განისაზღვრის ერთმანეთში საზოგადო-სახელმწიფო და ფინლანდიის ადგილობრივი კანონმდებლობა.

მიტავა, ოქტომბერი. პერნოვის მაზრაში უმიწა-წყლო [illegible] მუშებმა კრება გამართეს. კრებას დაესწრო 400 კაცი და გადასწყვიტეს: იშუამდგომლონ, რომ მოწვეულ იქმნას მთელი ესტონიის მხრის სოფლის მუშათა რწმუნებულნი შრომის დაცვისა, განათლების, სადგომების და სხვა საკითხთა გარდასაწყვეტად. რწმუნებულებად შეიძლება მუშა-ქალებიც იყვნენ.

მოგილ, 5 ოქტომბერი. რიგა-ორლოვის რკინის გზაზედ ბოლვაზე ფოსტის მოხელეს წაართვეს 100 მანათი.

განჯა, ოქტომბერი. განჯის მაჰმადიანები გახარებულნი [illegible] კავკასიის ნამესტნიკის სამართლიან დადგენილებით, რომლის ძალითაც ქალაქის არჩევნები დაამტკიცა და მაჰმადიანების უფლებანი არ შეზღუდა.

კრემენჩუგი, 5 ოქტომბერი. რადგანაც ვაკანსიების უქონლობის გამო პირველ დაწყებითი სკოლაში მრავალთ [illegible] მიიღეს და უკან გააბრუნეს, ამიტომ სახალხო სკოლების ინსპექტორმა ქალაქის გამგეს წინადადება მისცა, ქალაქის სკოლებში დაარსოს საღამოს კლასები.

ლონდონი, 5 ოქტომბერი. მილიარდერმა კარნეგმა, რომელიც შოტლანდიაში უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს, უნივერსიტეტში სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც სასტიკად გაჰკიცხა ომი და [illegible] კონფერენციას. ორატორმა სხვათა შორის სთქვა: უკანასკნელ დროს ომის წესებში ერთი საზიზღარი ჩვეულება შეიტანეს, რომლის თანახმად ომის გამოცხადებას საჭიროდ აღარ სთვლიან და პირდაპირ ეცემიან მოპირდაპირეს, მაშინ როდესაც მეგობრული მოლაპარაკება მათ შორის ჯერ არ გათავებულაო. ორატორი იაპონიის საქციელს გულისხმობდა.

მოსკოვი, 4 ოქტომბერი. რიგის პოლიტეხნიკუმის პროფესორებმა, სიმფეროპოლის ქალაქის საბჭომ, ყაზანის უნივერსიტეტების საბჭომ და მარშანის მაზრის საერობო კრებამ სამძიმარის დეპეშები გამოუგზავნეს მოსკოვის უნივერსიტეტს და განსვენებულ თავად ტრუბეცკოის ქვრივს.

კიევი, 4 ოქტომბერი. ქალაქის საბჭოს კრებაზე ხმოსანმა რჟეპეცკიმ წინადადება შეიტანა, თავ. ტრუბეცკოის ხსოვნას საბჭომ პატივი სცესო. ქალაქის მოურავმა ყური მოიყრუა, ვითომ ვერ გაიგონა, ხმოსანთა ერთმა ჯგუფმა თავისი გაიტანა და საბჭომ ფეხზე წამოდგომით ტრუბეცკოის ხსოვნას პატივი სცა. ქალაქის მოურავმა ეს გარემოება ოქმში არ შეიტანა.

ყაზანი, 4 ოქტომბერი. საბეითალო ინსტიტუტში გამოკიდებულია დირექტორის განცხადება: „რადგანაც სტუდენტებმა გუშინდელ საზოგადო კრებაზე გარეშე პირნიც მოიწვიეს და ამით ხელმეორედ დაარღვიეს დადგენილება, მონიჭებულ უფლებების ძალით, ინსტიტუტში სწავლა დროებით შევაჩერეო".

კიევი, 5 ოქტომბერი. უნივერსიტეტის რექტორს კიეველმა ქალებმა პეტიცია წარუდგინეს. პეტიციაზე 1000 ქალს უწერია ხელი. ახალგაზდა ქალები უნივერსიტეტში მიღებას სთხოვენ.

ჰელსინგფორსი. თავ. ტრუბეცკოის გარდაცვალებისა გამო ჰელსინგფორსის უნივერსიტეტის სტუდენტებმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს მოსკოვის უნივერსიტეტს: ფინლანდიის სტუდენტობამ გვიან გაიგეთ ტრუბეცკოის დასაფლავების დღე და ამიტომ შეძლება არა გვაქვს დეპუტაცია გამოვგზავნოთ. სულით და გულით ვწუხვართ იმ უბედურებისა გამო, რომელმაც მთელ რუსეთს მოსტაცა კეთილშობილი მამულიშვილი, მებრძოლი თავისუფლებისათვის, ხოლო რუსის სტუდენტობას-კი მათი მისწრაფების დიადი მფარველი.

რიგა, 5 ოქტომბერი. თავად ტრუბეცკოის გარდაცვალებისა გამო პოლიტეხნიკუმის სტუდენტობამ ერილობა გამართა და შემდეგი რეზოლუცია შეიმუშავა: ჩვენ, რიგის პოლიტეხნიკუმის სტუდენტები, ვგრძნობთ რა, რომ რუსეთის ინტელიგენციამ თავ. ტრუბეცკოის სიკვდილით დაჰკარგა პატიოსანი და გულადი მებრძოლი ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა აღსადგენად, მიუხედავად მის კერძო პოლიტიკური რწმენებისა, პატივს-ვცემთ მის ხსოვნას, როგორც კაცის—იდეალისტისას. ერილობას 700 მეტი სტუდენტი დაესწრო. ერილობაზე მოვიდა 300 სტუდენტი კორპორანტი, მაგრამ, როცა გაიგეს, რომ თავ. ტრუბეცკოის პატივს სცემენ, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს, საერთო კრებას განშორდნენ და თავის კერძო კრებებზე შეიმუშავეს საკითხი, თუ რა დამოკიდებულება იქონიონ საერთო მოძრაობასთან. მათი პრინციპია—პოლიტიკურ საქმეებში არ გაერიონ.

ხვალინსკი. 5 ოქტომბერი. [illegible] უნივერსიტეტს [illegible] გაუგზავნეს: „ხვალინსკის [illegible] მწუხარებას უცხადებს რუსეთის უხუცესს უნივერსიტეტს იმ უბედურებისა გამო, რომელიც მთელ რუსეთს თავს დაატყდა. თავად ტრუბეცკოის სიკვდილით სამშობლომ დაჰკარგა ბრწყინვალე და უანგარო საზოგადო მოღვაწე.

ბაქო. თებერვალში მომხდარ უწესოების გამო სასამართლოს გამოძიება, რომელიც 412 ტომს შეიცავს, ბრალდებულის ამხანაგს გადაეცა.

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. სტეხნიკო სასწავლებლის სტუდენტები დაემორჩილნენ სამოსწავლო კომიტეტის მოთხოვნას და კრებაზე გარეშე პირთ დასწრების ნებას აღარ აძლევენ. ქალაქებისა და ერობის წარმომადგენელთა საერთო კრებები დეკემბრისათვის გადაიდო. შესდგა განსაკუთრებული კომისიები, ეკონომიურ პროგრამის შესახებ საკითხთა შესამუშავებლად, უმცირესობის უფლებათა გარანტიისათვის, ქალთა უფლების მონიჭებისათვის და წინანდელ კრებათა შრომის გამოცემისათვის.

კიევი. ვოლხანოვი, რომელსაც მოსკოვის გუბერნატორის სახელით 57,000 მ. ყალბი ვექსილის შედგენა ბრალდებოდა, გაამართლეს.

ტომსკი, 5 ოქტომბერი. პროფესორთა საბჭომ განუსაზღვრელ დრომდე უნივერსიტეტი დაჰკეტა. სტუდენტებს 28 დღით ანთავისუფლებენ, ბევრი მათგანი სხვა უნივერსიტეტში გადასვლას თხოულობს. ტეხნოლოგიური ინსტიტუტი 1906 წლის 15 იანვრამდე დაიკეტა.

ლიბავა, 5 ოქტომბერი. ორ ოქტომბერს აიკლეს სახელმწიფო სასმელების დუქანი. 1-ს ხელმეორედ დაანგრიეს პორმასტენის ვოლოსტის სამართველო.

პეტერბურგი, 5 ოქტომბერი, ნავთის მწარმოებელთა კრებაზე ნამესტნიკის წარმომადგენელმა დაასახელა ბაქოს გრადონაჩალნიკის შტატი.

ასოთ-ამწყობთა კრებაზე დაადგინეს გაფიცვა შესწყვიტონ.

იამბურგი, 5 ოქტომბერი. საერობო კრებამ დაადგინა, გაუგზავნოს სამძიმარის დეპეშა კნეინა ტრუბეცკოისას და მეორე გრაფ ვიტტეს შემდეგი შინაარსისა: „იამბურგის საერობო კრება გიძღვნით თქვენ, გრაფო, სერგეი იულიის ძევ, მადლობას რუსეთის კეთილდღეობისა და სახელის დაცვისათვის, ვისურვებთ, რომ შინაური საქმეების მოწყობაშიც გამარჯვოთ".

რიგა, 5 ოქტომბერი. გუშინ მამით დასჭრეს რუს ბალტიის ქარხნის დირექტორი. დამნაშავენი მიიმალნენ.

ეკატერინოსლავი, 5 ოქტომბერი. გუშინ დილით სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციის შენობის ეზოში შეიკრიბნენ წინადღით გაფიცულნი ასოთ-ამწყობნი და არ უშვებდნენ სახელოსნოებში დანარჩენ მუშებს. თუმცა გამგის თანაშემწე ბევრს ეხვეწა, დანარჩენებს მუშაობას ნუ უშლითო, მუშები მაინც თავისას არ იშლიდნენ. მაშინ გამოწვეულ იქმნა ერთი როტა ჯარი. აფიცერმა უბრძანა ჯარის კაცთ თოფებით ხალხი დაეშალათ. შიშით შეცბუნებული მუშები ექსპედიციის ვიწრო ადგილებს გარებში ერთი-ერთმანეთს სწყდებოდნენ. მსუბუქად დაიჭრა რამდენიმე კაცი. დაჭრილები ექსპედიციის საავადმყოფოში მოათავსეს.

პორხოვი, 5 სექტემბერი. მოქალაქე არდამაცის შემოწირული 10,000 მანათი ქალაქმა მიიღო. საერობო კრებამ ამ ფულს სხვა ფულიც დაუმატა და გარდასწყვიტა, ქალების პროგიმნაზია გიმნაზიათ გადააკეთოს; ამას გარდა ხუთ ახალ სკოლისთვის ფული გადადო და სავაჭრო გიმნაზიის დაარსება განიზრახა.

ვინდავა, 5 ოქტომბერი. კურლანდიის გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით, რკინის გზაზე ტელეგრაფისა და ტელეფონის გაფუჭებისთვის, ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთ სამას-სამასი მანათი ჯარიმა გადახდებათ.

ტოკიო, 5 ოქტომბერი. ჯავშნოსანი „პობედა" წყლიდან ამოიღეს.

პეტერბურგი, 5 ოქტომბერი. სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტი, საბჭოს განკარგულებით, დროებით დაიკეტა.

6 ოქტომბერი.

ტოკიო, 5 ოქტომბერი. გრაფმა კაცურამ, რომელიც გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობას ასრულებდა, დღეს კამურას სამმართველო ჩააბარა.

პეტერბურგი, 5 ოქტომბერი. გემ „პოტემკინს" სახელი გამოუცვალეს და დაარქვეს „პანტელეიმონი".

მოსკოვი, 5 ოქტომბერი. სტამბებში მუშაობა დაიწყეს.

სარატოვი, 5 ოქტომბერი. სტამბების მუშებს მოურიგდნენ. დაწესებულ იქმნა რვა საათის სამუშაო დღე, ხელფასიც მოუმატეს, ჯარიმები გააუქმეს, თითოეულ სტამბას ეყოლება კომისია, რომელიც უთანხმოებას გამოიკვლევს ხოლმე. გაზეთები პარასკევს გამოვა.

ბელოსტოკი, 5 ოქტომბერი. წუხელის იასინოვატის ქუჩაზე ყუმბარა ისროლეს, არავინ დაშავებულა.

მინსკი. იგუმენის მაზრის ერთ ვოლოსტში საყოველთაო სავალდებულო სწავლა შემოიღეს.

ვენა, 5 ოქტომბერი. გამოქვეყნებულ იქმნა იმპერატორისაგან ფეიერვარისადმი მიწერილი წერილი, რომლითაც მის მიერ წარმოდგენილ ის პროგრამით კაბინეტის შედგენას ავალებს.

პეტერბურგი, 5 ოქტომბერი. გრადონაჩალნიკისაგან. მოსკოველ ამხანაგების თანაგრძნობლად და მათის მოთხოვნილების მხარის დასაჭერად 3 ოქტომბერს თითქმის ყველა სტამბის მუშები გაიფიცნენ. ზოგიერთ სტამბაში თვით პატრონებმა მიაწყეს გაფიცვის საქმე. ოფიციალურ გამოცემათა სტამბებში ისევ მუშაობენ. სტამბებს პოლიცია იცავს. გაფიცულნი მშვიდად იქცევიან.

4 ოქტომბერს, დილით ექსპედიციის მუშები თავი მოიყარეს ეზოსა და რიგის პროსპექტზე. ადმინისტრაციამ სთხოვა მუშებს, ან მუშაობა დაეწყოთ, ან ეზო დაეცალათ. მუშები ადგილიდან არ იძროდნენ. ერთმა როტა სალდათმა მუშები დაჰფანტა. ათი მუშა დაშავდა, მათში ხიშტებით დაჭრილებიც არიან. დაშავებულნი ექსპედიციის საავადმყოფოში დააწვინეს, ქუჩაში მოგროვილი მუშები ცხენოსანმა და ქვეითა პოლიციამ დაჰფანტა.

4 ოქტომბერს, შუადღისას, ნევის გემთა აღმშენებელ ქარხნის მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს და ქუჩაში გამოვიდნენ. ამ მუშების ერთმა ნაწილმა რიცხვით 500 კაცმა სარევოლუციო სიმღერებით სამ მახლობელ ფაბრიკისაკენ გასწია და მუშებს მუშაობა შეაწყვეტინა. მათ დასაფანტად გამოწვეულ ცხენოსან პოლიციასა და კაზაკთა ასეულს, ქვებისა და რევოლვერის სროლით დაუხვდნენ. ერთის დანგრეულის შენობიდან რევოლვერი რამდენჯერმე გაისროლეს, კაზაკებმაც თოფები დაუშინეს. დაბინდებისას მუშებმა ჩალეწეს 30 ფარანი. ხალხის დაფანტვის დროს, ქვით მსუბუქად დაშავდნენ ორი აფიცერი და ერთი კაზაკი. ურიადნიკი მძიმედაა დაშავებული. პოლიციელთაგან მსუბუქად დაშავდნენ ბოქაულის თანაშემწე და ერთი გოროდოვოი.

პეტერბურგი, 6 ოქტომბერი ასოთ-ამწყობებმა გაფიცვა შესწყვიტეს და დილიდან მუშაობას შეუდგნენ.

ხარბინი, 5 ოქტომბერი. ჯარების მთავარსარდალმა, აქ ყოფნის დროს, 2—4 ოქტომბერს ჯარებს დახედა და საავადმყოფოები დაათვალიერა. ინახულა აგრეთვე წითელ ჯვრის საწყობები. მის წასვლის დროს, სადგური ჯარებითა და ხალხით სავსე იყო.

ვენეცია, 6 ოქტომბერი. ბროდიგერში დაუმზადებიათ სასახლე, სადაც კუროპატკინი სახლობითურთ ამ ზამთარს გაატარებს.

განჯა, 6 ოქტომბერი. აქაური მუსულმანები აღელვებულნი არიან იმის გამო, რომ სატახტო ქალაქებისა და ზოგიერთ ადგილობრივ გაზეთებში ტენდენციური წერილები იწერება მათ შესახებ, იმ განზრახვით რომ რუსის მთავრობა მუსულმანებს გადაამტეროს.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Октября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.